დაუსრულებელ ომში ჩაკარგული ხმები:

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პერსპექტივები მშვიდობასა და მომავალზე

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

დაუსრულებელ ომში ჩაკარგული ხმები:

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პერსპექტივები მშვიდობასა და მომავალზე

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2023

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე
ავტორი: ნათია კეკენაძე
რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი
თარგმანი ინგლისურ ენაზე: ანა ბერია
თარგმანი რუსულ ენაზე: როლანდ რაიკი
ფოტო ყდაზე: ლუკა პერტაია, ნეტგაზეთი
ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ნათია კეკენაძე, „დაუსრულებელ ომში ჩაკარგული ხმები: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პერსპექტივები მშვიდობასა და მომავალზე“, 2023*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი 4

კვლევის მეთოდოლოგია და დიზაინი 5

კოლექტიური დასახლებები და სამიზნე ქალაქები 7

კონფლიქტის ტრანსფორმაცია: თეორია და მისი კომპონენტები 7

სტრუქტურული ძალადობა 8

რადიკალური ნარატივები და დომინანტური პოლიტიკური დისკურსი 9

კოლექტიური მეხსიერება და ტრავმა 11

ინკლუზიური სამშვიდობო პოლიტიკა 12

სამშვიდობო პოლიტიკა: ინსტრუმენტები 14

თუ, არ გვაქვს ომი? გვაქვს, თუ არა მშვიდობა?! 15

როგორ იწყებოდა აფხაზეთის ომი? 16

დევნილები აფხაზების „ორი სახის“ შესახებ 18

დამნაშავის ძიება 20

გამოსავლის ძიება: დევნილთა ხედვები კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის აქტუალური საკითხებზე 23

აფხაზეთში დაბრუნება და ომის დაუშვებლობა 23

მშვიდობა 26

დევნილთა ჩართულობა სამშვიდობო პოლიტიკაში და მომავლის პერსპექტივები 28

პირდაპირი დიალოგი 31

შეჯამება 33

შესავალი

საქართველოში მე-20 საუკუნეში დაწყებული პოლიტიკური კრიზისების შედეგად, ქვეყანამ რამდენიმე ომი და შიდა სამხედრო და პოლიტიკური დაპირისპირება გამოიარა. დამოუკიდებლობის შემდგომი ოცდაათწლიანი ისტორია წინააღმდეგობრივი პოლიტიკური და სოციალური გამოცდილებებით ხასიათდება, რომელსაც მძიმე გამოვლინება აქვს როგორც სისტემურ, ისე მიკრო-სოციალურ და ინდივიდუალურ დონეებზე.

აფხაზეთის ომი, რომელშიც დაუზუსტებელი მონაცემებით, მთლიანობაში დაახლოებით 13 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 18 000-ზე მეტი დაიჭრა და დასახიჩრდა, 2000-მდე ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება, , 300 ათასმა ადამიანმა კი იძულებით გადაადგილებულის სტატუსი მიიღო, დღემდე ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ შეუსწავლელ ეპიზოდად რჩება.

დროის სვლასთან ერთად კონფლიქტის სწრაფი მოგვარების შეუძლებლობა და მუდმივად ცვალებადი პოლიტიკური და გეოპილიტიკური კონტექსტი, კიდევ ერთხელ აყენებს დღის წესრიგში სამშვიდობო ინიციატივებისა გადახედვის და ახალი შესაძლებლობების ძიების აუცილებლობას. მნიშვნელოვანია, რომ ეს ინიციატივები კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოებების, მათ შორის, იძულებითი გადაადგილებული პირების მონაწილეობით უნდა იყოს შექმნილი. მშვიდობის მშენებლობის თეორიები, ამ კონტექსტში, პირველ რიგში, მოიაზრებს დევნილი თემის ჩართულობას და *სიმართლის, პატიების, სამართლიანობისა და მშვიდობის* საკითხებზე მსჯელობისთვის სივრცეების შექმნას.

დევნილი თემის ჩართულობა, როგორც ქართულ, ისე ქართულ-აფხაზურ დისკუსიებში არ არის საკმარისად მხარდაჭერილი. უფრო მეტიც, მათ შესახებ მოლოდინები წინასწარ ზღვარდადებულია. დევნილებს, როგორც ტრავმაგამოვლილ საზოგადოებას, ხშირად მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ და ემოციური განზომილებების ჭრილში განიხილავენ, მათი სამშვიდობო პოტენციალი კი შეუსწავლელია. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი გამოკითხვა ცხადყოფს, რომ დევნილთა დიდი ნაწილი დიალოგისთვის და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრისთვის ღია მზადყოფნას აჩვენებს, ამ თემის ხმა სამშვიდობო პოლიტიკაში პრაქტიკულად არ არის წარმოდგენილი. რადიკალიზებული და ექსკლუზიონისტური დისკურსული ველი კი, კიდევ უფრო ართულებს ამ პერსპექტივების რეპრეზენტაციას.

წინამდებარე კვლევის მიზანია შეისწავლოს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ხედვები და პერსპექტივები მშვიდობასთან და კონფლიქტის მოგვარებასთან მიმართებაში.

კვლევის ამოცანებია გაანალიზოს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის აღქმები წარსულთან, კონფლიქტთან და მშვიდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
 კვლევის ფართო მიზანია კონფლიქტებთან და მშვიდობის საკითხებთან დაკავშირებული კრიტიკული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის შექმნა და ალტერნატიული ხედვების წარმოდგენა კონფლიქტების სტრუქტურული მიზეზებისა და მშვიდობის მიღწევის გზებზე სამჯელოდ.

კვლევის მეთოდოლოგია და დიზაინი

წინამდებარე კვლევისთვის საინტერესოა კოლექტიურ დასახლებებში მცხოვრები დევნილების ხედვების შესწავლა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებაში.

წარმოდგენილი კვლევა დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად იყენებს კვლევის თვისებრივ მეთოდებს. პირველ რიგში, სამაგიდო კვლევის ფარგლებში მოხდა არსებული ლიტერატურის და რელევანტური დარგობრივი მასალის სისტემური ანალიზი, რაც მოიცავს სამეცნიერო ლიტარატურას კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით, ასევე, 90-იან წლებში საქართველოში დაწყებული სამხედრო დაპირისპირებებისა და ომების ისტორიულ რეტროსპექტივას. მიკერძოებულობის თავიდან ასაცილებლად, კონფლიქტის, როგორც ისტორიული, ისე პოლიტიკური და სოციალური განზომილებების შესასწავლად, განხილულ იქნა ისტორიული წყაროები, სამეცნიერო სტატიები, სახელმწიფო, ადგილობრივი, თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტები, კვლევები და სტატისტიკური მონაცემები.

ემპირიული მონაცემების შეგროვებამდე, ლიტერატურის სისტემური ანალიზის შემდეგ[1](SLR) ჩატარდა ექსპერტული ინტერვიუები. ჯამში 5 ინტერვიუ: (მშვიდობის პოლიტიკის სამი მკვლევარი, ერთი ისტორიკოსი, ერთი სოციალური პოლიტიკის მკვლევარი). ექსპერტულ ინტერვიუებსა და სამაგიდო კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციას დაეყრდნო სადისკუსიო გეგმა, ხოლო ემპირიული მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა ბიოგრაფიულ-ნარატიული და სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი.

კვლევის ობიექტად განისაზღვრა თბილისში და წყალტუბოს დევნილთა დასახლებებში, ასევე ზუგდიდში მცხოვრები დევნილები. კვლევა ორ ეტაპად განხორციელდა. პირველი ეტაპი მოიცავდა საპილოტე კვლევას, რა დროსაც 2023 წლის აგვისტოს პირველ კვირაში თბილისსა და ქალაქ წყალტუბოში 2-2 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა. საპილოტე კვლევის დროს შემოწმდა სადისკუსიო გეგმა და ინტერვიუს გზამკვლევი მცირედით კორექტირდა. ამ ეტაპზე მიღებული მონაცემების ინტეგრირება კვლევის საბოლოო მიგნებებთან არ მომხდარა. კვლევის მეორე ეტაპი 2023 წლის აგვისტოს თვის მეორე ნახევარში დაიწყო და 2023 წლის სექტემბრის ბოლოს დასრულდა. ჯამში 27 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა.

კვლევის ზოგადი სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა მოხდა კვლევის ამოცანების გათვალისწინებით და წარმოადგენდა ჰომოგენურ ჯგუფს შერჩეული ქალაქებიდან. მიზნობრივი შერჩევის მაქსიმალური ვარიაციის (Maximal variation, Patton, 2015) მიდგომის შესაბამისად, შერჩევა განხორციელდა წინასარ განსაზღრული მახასიათებლების მიხედვით:

- გეოგრაფიული მდებარეობა: დედაქალაქი თბილისი, წყალტუბო და კონფლიქტის რეგიონთან ახლოს მდებარე ქალაქი ზუგდიდი;
- გენდერული მახასიათებლები - გამოკითხული 27 რესპონდენტიდან, 16 იყო ქალი, ხოლო 11 კაცი.

[1] Petticrew, M., & Roberts, H. (2006). *Systematic reviews in the social sciences: A practical guide.* Blackwell Publishing. https://doi.org/10.1002/9780470754887

- ასაკი: 35 წელს ზემოთ; (ინტერვიუები ასევე ჩატარდა ოთხ ახალგაზრდა დევნილთან < 35 წელი)
- ეთნიკურობა - ქართველი;

რესპონდენტების საცხოვრებელი ადგილი აფხაზეთში: გალი (3), სოხუმი,(7) გაგრა (7), სოფელი კოლხიდა (2), ოჩამჩირე (4) , სოფელი კოჩარა (3); გულრიფი (1*). (იხ. დანართი#1)*

კვლევის მონაწილეები თბილისსა და წყალტუბოში დევნილთა დასახლებაში ცხოვრობენ. კერძოდ, წყალტუბოში ყოფილ სანატორიუმებსა და კოლექტიურ ცენტრებში, ასევე წყალტუბოს დევნილთა ახალ დასახლებაში და თბილისში ზღვის მიმდებარედ. კვლევის რესპონდენტები სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით მსგავს რეალობაში ცხოვრობენ. კვლევის შედეგები შესაძლოა განსხვავებულ იყოს დევნილთა სხვა სოციალური გამოცდილებების მქონე ჯგუფებში.

წინამდებარე კვლევა არ ჩატარებულა ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდების დაცვით, მიუხედავად ამისა, წარმოებდა საველე ჩანაწერები, რომელიც ეყრდნობოდა დევნილთა დისკუსიებს სხვადასხვა საჯარო (წყალტუბოს ცენტრალური პარკი, დევნილთა ახალი დასახლების ეზო) და პირად სივრცეში (საველე სამუშაოები დაემთხვა ერთ-ერთი რესპონდენტის დაბადების დღეს).

გასათვალისწინებელია, რომ წინამდებარე კვლევას შედეგების განზოგადების პრეტენზია არ აქვს, გამოკითხვები არ არის წარმომადგენლობითი და შედეგები ასახავს მხოლოდ იმ რესპონდენტების დამოკიდებულებებსა და შეფასებებს, რომელთაც გამოკითხვაში მიიღეს მონაწილეობა.

კვლევის ფარგლებში მოპოვებული ემპირიული ინფორმაცია ჩაწერილ იქნა, როგორც აუდიო მასალაზე, ისე საველე ჩანაწერების საშუალებით. ტრანსკრიპტები და საველე ჩანაწერები კოდირების მეშვეობით თემატურ კატეგორიებად დაიყო, როგორიცაა: „ხედვები კონფლიქტის საწყის პერიოდზე“; „კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივები“; „სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია“, „საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობები აფხაზებთან“, „სამართლიანობა და მშვიდობა“ და ა.შ. თემატურ კატეგორიებზე დაყრდნობით კი აიგო დისკუსია კვლევის მიგნებების შესახებ.

იმის გამო, რომ კვლევის სამიზნე ჯგუფი წარმოადგენს ტრავმის მატარებელ საზოგადოებას, სიღრმისეული ინტერვიუს დაწყებამდე ინფორმირებული თანხმობის ფურცლის გაცნობასთან ერთად, რესპონდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ არასასურველ შეკითხვაზე შეეძლოთ არ გაეცათ პასუხი, ან კვლევაშ მონაწილეობა შეეწყვიტათ ნებისმიერ დროს.

კოლექტიური დასახლებები და სამიზნე ქალაქები

აფხაზეთში 30 წელზე მეტი ხნის წინ დაწყებულ სამხედრო შეიარაღებულ კონფლიქტის შედეგად 13 ათასამდე ადამიანი დაიღუპა, 300 ათასამდე კი დევნილად იქცა. ომის პირობებში დევნილები საქართველოს მასშტაბით ქაოტურად განსახლდნენ, მათი საცხოვრებლები წარმოადგენდა კოლექტიურ ცენტრებს: საჯარო სკოლებს, საბავშო ბაღებს, ქარხნებს, სასტუმროებს, სანატორიუმებსა, თუ სხვა საჯარო შენობებს. დევნილთა განსახლების შედეგად თბილისში 111, 939; იმერეთში 27 839 (წყალტუბოში: 10 ათასზე მეტი), ხოლო სამეგრელო ზემო სვანეთში 90 102 დევნილი დასახლდა (დევნილთა სააგენტო, 2022).

დღეს თბილისში, ისევე როგორც წყალტუბოსა და ზუგდიდში დევნილთა ახალ ბინებში/საცხოვრებელ სახლებში განსახლების პროცესი მიმდინარეობს. ისინი, ვინც დღემდე ელის ბინას, ან ვისთვისაც განსახლების პირობები დამაკმაყოფილებელი არ არის, კვლავ სანატორიუმებში (წყალტუბო) ცხოვრობენ.

სწორედ ამ კოლექტიურ დასახლებებში კონსტრუირდებოდა წლების განმავლობაში დევნილების ნარატივები. ეს დასახლებები, როგორც საცხოვრებელ, ისე საჯარო სივრცეების ფუნქციას ითავსებენ. დევნილთა დასახლებების შიდა ეზოებში, სანატორიუმების გრძელ დერეფნებში, ბირჟებში ბოლო 30 წლის განმავლობაში კონფლიქტის მიზეზებზე და მათი მშვიდობიანი მოგვარების გზებზე არა ერთი შეხედულება და ამბავი იყრის თავს.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მიგნებებში არ აისახა - თუმცა ჩაწერილი ინტერვიუები კომპლექსურ და საინტერესო ინფორმაციას ინახავს საქართველოში განსახლების პოლიტიკისა და მისი გამოწვევების შესახებ; ასევე კვლევა შესაძლოა გახდეს მომავალში ისეთი საკითხების შესწავლის ინსპირაცია, როგორიც არის

(i) დომინანტური პოლიტიკური დისკუსის გავლენა იძულებით გადაადგილებული ადამიანების აღქმებსა და მოსაზრებებზე ბოლო 30 წლის განმავლობაში;
(ii) დროისა და სივრცითი განზომილებები დევნილთა პერსპექტივებზე მშვიდობის მშენებლობაში;
(iii) დევნილთა ჩართულობის საკითხები, შესაძლებლობები და პრაქტიკა მშვიდობის მშენებლობის პოლიტიკაში.

კონფლიქტის ტრანსფორმაცია: თეორია და მისი კომპონენტები

სამეცნიერო ლიტერატურაში მშვიდობის მშენებლობა (peace building) ე.წ ქოლგა ტერმინს წარმოადგენს, რომელიც ამ დარგში სხვა მრავალ თეორიასა, თუ პრაქტიკულ მეთოდს აერთიანებს. მშვიდობისა და მდგრადი მშვიდობის მშენებლობის შესახებ საერთაშორისო აკადემიური დებატები მეტწილად თეორიული ჩარჩოების პრაქტიკულ გამოყენებას უკავშირდება. ამ პარადიგმის მიხედვით, იმისთვის, რომ თეორიები ეფექტურ პრაქტიკულ ღონისძიებებად გადაიქცეს, მნიშვნელოვანია რომ გათვალისწინებული იყოს კონფლიქტის წარმოშობის ძირეული მიზეზები. ამ პრიზმიდან, მშვიდობის მშენებლობა სრულად საზოგადოებრივი პროცესია, იგი არ გვთავაზობს გარკვეულ წესებს, თუ როგორ მიიღწევა

მშვიდობა ან გვარდება კონფლიქტი. მეტიც, მშვიდობის მშენებლობას სტატიკურ პროცესად არ განიხილავს და აქ დროითი კომპონენტი დანახულია, როგორც კონფლიქტის ცვლილებისა და გარდაქმნის შესაძლებლობა[2]. თეორიათა, თუ პრაქტიკული საშუალებების ძიების პროცესში, კონფლიქტის მართვისა და მოგვარების ახალი მიდგომები დღეს უკვე საკმაოდ ცნობილ - კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიაშია გაერთიანებული.

კრიტიკული თეორიის მიმდევრებისთვის, მშვიდობის მშენებლობის პროცესისთვის ამომავალი წერტილი უნდა იყოს კონფლიქტის ტრანსოფრმაციის აქტორი/აგენტი (agent). მაგალითისთვის, რიგ შემთხვევებში გამოკვეთილია პოლიტიკური ელიტების და საერთაშორისო აქტორების დომინანტური როლი, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კონფლიქტის მხარეების ჩართულობას კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში და ზოგადად, მშვიდობის მშენებლობის დემოკრატიულობას საეჭვოს ხდის[3].

კონფლიქტის ტრანსფორმაცია არ უკავშირდება მხოლოდ კონფლიქტების საბოლოო მოგვარებას (კონფლიქტის რეზოლუცია), იგი ასევე მოიცავს დემოკრატიის და განვითარების კონცეფციებს[4]. ამ თვალსაზრისით, იგი დანახულია, როგორც გზა სოციალური ცვლილებებისკენ, რომელიც ასევე ებრძვის სტრუქტურულ ძალადობას.

სტრუქტურული ძალადობა

სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში გალტუნგის მიერ 1976 წელს შემუშავებული ამ თეორიის ერთ-ერთი წინააღმდეგობრივი კომპონენტია. მეცნიერთა ნაწილისთვის ეკონომიკური და სოციალური განვითარება ახდენს გავლენას კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე, მეორე ნაწილისთვის კი არა[5]. გაეროს 1992 წლის და 1995 წლის ანგარიშები „მშვიდობის დღის წესრიგი“ (An Agenda for Peace) და „მშვიდობის დღის წესრიგის დამატება“ (Supplement to an Agenda for Peace), სოციალური და ეკონომიკური განვითარება მოხმობილია, როგორც „სოციალური მშვიდობა“, რომელიც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სტრატეგიული ან პოლიტიკური მშვიდობა („social peace is as important as strategic or political peace)[6].

---

[2] Bigdon, Ch., Korf, B. (2004). The Role of Development Aid in Conflict Transformation: Facilitating Empowerement Processes and Community Building. In: Austin, A., Fischer, M. and Ropers, N. eds. Transforming Ethnopolitical Conflict: The Berghof Handbook. Berlin, Germany: VS Verlag für Sozialwissenschaften, p. 349-369.

[3] Christoph Zurcher, Carrie Manning, Kristie Evenson, Rachel Hayman, Sarah Riese, and Nora Roehner, Costly Democracy: Peacebuilding and Democratization after War (Stanford, CA: Stanford University Press, 2013); Andrea Ruggeri, Theodora-Ismene Gizelis, and Han Dorussen, "Managing Mistrust an Analysis of Cooperation with UN Peacekeeping in Africa," Journal of Conflict Resolution 57, no. 3 (2013): 380–410.

[4] P. Collier, 'Economic Causes of Civil Conflict and Their Implications for Policy', in C.A. Crocker, F.O. Hampson and P. Aall (eds), Leashing the Dogs of War. Conflict Management in a Divided World (Washington DC: United States Institute of Peace Press, 2007), pp. 190–210.

[5] J. Galtung, Peace by Peaceful Means. Peace and Conflict, Development and Civilization (Oslo/London: International Peace Research Institute/Sage, 1996), p. 9-15;

[6] B. Boutros-Ghali, 'An Agenda for Peace: Preventive Diplomacy, Peace Making and Peace Keeping', UN Doc. A/47/277-S/24111 (New York, 17 June 1992), paragraph 20-21.

ძალადობრივი კონფლიქტები იძულებით გადაადგილებულ ადამიანებს მოკლევადიან პერსპექტივაში ისეთ სოციალურ და ეკონომიკურ დანაკრგებს უქმნის, როგორიც არის ადამიანის სიცოცხლე, საკუთრება, ფერხდება განათლების მიღების შესაძლებლობა, ჩნდება ღრმა ფსიქოლოგიური ტრავმა, იზრდება უმუშევართა რიცხვი და სიღარიბე, ჯანმრთელობის პრობლემები, ქვეყანაში ნადგურდება სოციალური ინფრასტრუქტურა და იზღუდება განვითარების შესაძლებლობები. თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, მისი შედეგები სტრუქტურულ ძალადობად გარდაიქმნება. სიღარიბე, ეკონომიკური უთანასწორობა, სოციალური მობილობი და მასთან დაკავშირებული გამოწვევები, ტრავმის მემკვიდრეობითობა, მუდმივი საცხოვრებლის არ ქონა, მცირე ჩამონათვალია იმ დანაკარგებისა, რაც ამ ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში იჩენს თავს.

აკადემიურ წყაროებში სტრუქტურული ძალადობა იმ მიზეზთა ჩამონათვალშია, რომელიც გავლენას ახდენს დევნილების აღქმებზე ომის მიზეზების, მშვიდობის საკითხების, სამართლიანობის გაგების, დამნაშავისა და მსხვერპლის შესახებ. სტრუქტურული ძალადობის შესახებ ფართო მსჯელობა, დანახულია კონფლიქტის ტრანსფორმაციის საფუძვლად, სადაც სამშვიდობო სტრატეგიები კონფლიქტის მხარეების სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას ეყრდნობა. ეს შეიძლება კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთადერთი შესაძლებლობა არ იყოს, თუმცა ერთ-ერთი ნამდვილად არის. როგორც რიუპსინგი წერს , „ძალადობრივი კონფლიქტის გადარჩენილი ადამიანები, მშვიდობას ვერ შეჭამენ[7]“, და რაც არ უნდა უსაფრთხოდ გრძნობდნენ ისინი თავს, მათთვის სტრუქტურული ძალადობა ყოველთვის იქნება საფრთხე, რომელთან გამკლავებაც მოუწევთ (Rupesinghe, 1995).

რადიკალური ნარატივები და დომინანტური პოლიტიკური დისკურსი

ლიქლიდერი (Licklider) 1995 წერდა მდგრადი ომის კონცეფციაზე (Sustained wars) და აღნიშნავდა, რომ ომები, სიძულვილის იმგვარ ფორმებს წარმოშობს, რომელთა გაქრობაც, ომის დასრულებისთანავე ვერ ხდება (Licklider,1995,p,8). იგივეს იზიარებს კონფლიქტების ცნობილი მკვლევარი ჯოანა რეგულსკაც (Regulska, 2012, p.123), რომელიც გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პატარა ქვეყნებში, სადაც ეთნიკური კონფლიქტები ხდება კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოებების აღქმებს ომების შესახებ სწორედ პოლიტიკური რიტორიკა ქმნის (Mannergren Selimovic, 2010). ამდენად, მისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნას კონფლიქტით დაზარალებული ჯგუფების ცნობიერების, მიდგომების, ნარატივების წარმომავლობა. განსაკუთრებით იმ კონტექსტში, თუ რა ფორმით და რაზე დაყრდნობით იქმნება „დამნაშავის“ დომინანტური დისკურსი. ამავე მიდგომას იზიარებს, მიკერძოებული კოლექტიური მეხსიერების თეორიაც, რომლის მიხედვითაც, კონფლიქტის მხარეების კოლექტიური მეხსიერების მანიპულირება სხვადასხვა გზით ხდება, რაც ხელს უშლის სამშვიდობო პოლიტიკის წარმართვას[8]. ამ თეორიის მიხედვით, კოლექტიური მეხსიერების ტრანსფორმაციის მიზეზებს სხვადასხვა რადიკალური ნარატივები წარმოადგენენ. მათი კრიტიკული ანალიზი კი ხშირად ხდება განსჯისა და ცენზური საგანი, ვინაიდან „ეს კრიტიკა

[7] K. Rupesinghe, ‘Conflict Transformation’, in K. Rupesinghe (ed.), Conflict Transformation (London: St Martin’s Press, 1995), p. 90-99.

[8] Peter Kabachnik, Joanna Regulska & Beth Mitchneck (2012) Displacing Blame: Georgian Internally Displaced Person Perspectives of the Georgia–Abkhazia Conflict, Ethnopolitics: Formerly Global Review of Ethnopolitics, 11:2, 123-140, DOI: 10.1080/17449057.2012.675210

დომინანტური ხაზიდან გადახვევას ნიშნავს“ (Sara Cobb, 2013)[9]. ასევე საინტერესოა ისიც, თუ რომელ ჯგუფებს აქვთ ამ ნარატივებზე საუბრისა, თუ მათი წარმოების უფლება.

ბრიტანული ორგანიზაცია „შერიგების რესურსები“ (Conciliation Resources) ერთ-ერთ ანგარიშში წერს, რომ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში დამკვიდრებული ზოგიერთი ნარატივი აფხაზებისა და ოსების შესახებ არ ასახავს საზოგადოების მოსაზრებებს[10]. ამ მიდგომას ასევე ადასტურებს 2013 წლიდან 2020 წლამდე არსებული საზოგადოებრივი გამოკითხვები. მაგალითად, CRRC-ის 2020 წლის გამოკითხვით, რესპონდენტების 69.7% მხარს უჭერს პირდაპირ დიალოგს, 48.4%-ისთვის საერთო ინტერესების გამონახვა და კონფლიქტის ერთობლივი გადაჭრის გზების ძიებაა მნიშვნელოვანი[11] (CRRC, 2020).

რადიკალური ნარატივები განსაზღვრავენ კონფლიქტის ტრაექტორიებს, საზოგადოების კოლექტიურ ტრავმებსა და მეხსიერებას. რეალურად ისინი წარმოადგენენ იმ ამბების ერთობლიობას, რომლებიც „ერთხელ უკვე თქმულა და შემდგომ ბევრჯერ განმეორებულა“ (Harre and van Langenhove, 1991, 1999, Pearce , 2008, Tan&Moghaddam, Winslade and monk, 2000). სწორედ ეს ისტორიები ქმნის იმ ნარატივებს, რომლებიც თავის მხრივ, აჩენენ კონფლიქტის სხვა მახასიათებლებს: ფიზიკურს - დროებით საზღვრებს, და მორალურ საზღვრებს, რაც გულისხმობს ერთი კონკრეტული ისტორიის ლეგიტიმაციას და მისთვის იდენტობის მიცემას (Sara Cobb, 2013). ასეთი ამბები, როგორც წესი, ისტორიის სრულ სურათს არ გვიყვებიან და კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებს შორის მხოლოდ სიძულვილის შრეებს აჩენენ. კონფლიქტგამოვლილ საზოგადოებებში „სიძულვილი“ და „დამნაშავის ძიების სურვილი“ ის განცდებია, რომლებიც მრავალი მკვლევარის აზრით, „არასდროს ნელდება“, თუმცა დროდადრო ისინი რადიკალური ნარატივებს მეშვეობით იკვებება და ხელს უშლის კონფლიქტის მოგვარებას (Halverson, 2004, Porat, 2004).

დისკურსების და მეხსიერების კონსტრუირების კრიტიკული თეორიებისთვის ნარატივების კომპლექსური შესწავლა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ყველა კონფლიქტს განსხვავებული ნარატივი აქვს. განსაკუთრებით ეთნიკურ კონფლიქტებს, სადაც ნარატივების პოლიტიკა იცვლება/გადაიხედება და მყარდება ეთნიკური ჯგუფების, სახელმწიფოს, საერთაშორისო აქტორების მიერ[12]. ამ კონტექსტში დევნილთა ნარატივები გაგებულია, როგორც დროის, სივრცის, ინდივიდუალური გამოცდილებებისა თუ გაჭიანურებული კონფლიქტების შედეგი. ამასთანავე, მეხსიერება მუდმივად განიცდის რეორგანიზაციას, ის არ არის ერთი ნარატივის ან გამოცდილების ნაყოფი, იგი მოქნილია და დროსა და სივრცეში გარდაიქმნება „ძალაუფლებისა და იდენტობის კონსტრუირების აქტუალური მოთხოვნების შესაბამისად[13]“.

---

[9] Cobb, Sara (2013). "Speaking of Violence. The Politics and Poetics of Narrative in Conflict Resolution";

[10] Concilation Resources, “Majority of Georgians see prospects for change to improve relations with Abkhaz”, 2020; ნანახია: 29 ოქტომბერი / https://www.c-r.org/news-and-insight/majority-georgians-see-prospects-change-improve-relations-abkhaz

[11] Concilation Resources, “Majority of Georgians see prospects for change to improve relations with Abkhaz”, 2020; ნანახია: 29 ოქტომბერი / https://www.c-r.org/news-and-insight/majority-georgians-see-prospects-change-improve-relations-abkhaz

[12] Cobb, Sara (2013). "Speaking of Violence. The Politics and Poetics of Narrative in Conflict Resolution";

[13] ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. (2022). საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე

ამბებთან ერთად მნიშვნელოვანია, მათი გავრცელების დროითი და სივრცული ასპექტებიც. ამბები, რომელსაც ადამიანები ყვებიან ომის შესახებ „საკუთარი ისტორიებისა“ და „სხვების/მტრების“ შესახებ ასევე ქმნის გარკვეულ ნარატივებს კონკრეტულ ჯგუფებში და იმ სივრცეებში, სადაც ეს ადამიანები ცხოვრობენ (Coleman et al.,2007). როგორც ლოკალური, ისე დომინანტური ნარატივების კვლევა და მათი კრიტიკული ანალიზი კონფლიქტის ტრანსფორმაციის ახალ გზად არის დანახული.

საკითხის ანალიზის ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდი უკავშირდება მოსაზრებას, რომ რიგ შემთხვევებში, რადიკალური ნარატივები კონფლიქტების გაჩენამდე დიდი ხნით ადრე უკვე არსებობენ. ისინი *განაპირობებენ* ომს და ომის დასრულების შემდეგაც დიდხანს *ცოცხლობენ* (Sara Cobb,2013); ისეთი ინსტიტუციონალური სივრცეები, როგორიც არის სასამართლო დარბაზები, საჯარო შეხვედრები, პარლამენტის სხდომები, სამშვიდობო თუ პირდაპირი დიალოგის შეხვედრები, რადიკალური ნარატივების კონფლიქტის ტრანსფორმაციულ პროცესად გარდაქმნის შესაძლებლობებას უნდა ქმნიდნენ, თუმცა ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს ინსტიტუტები წარმოადგენენ მათი ლეგიტიმაციის წყაროს (Sara Cobb,2013);

კოლექტიური მეხსიერება და ტრავმა

კიდევ ერთი საკითხი, რაც კონფლიქტის ტრანსფორმაციის კონტექსტში განსაკუთრებულ ინტერესის საგანს წარმოადგენს, კოლექტიური მეხსიერებისა და ტრავმის ფენომენის შესწავლაა. ტრავმის შესწავლა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მოვლენათა და დროის გასვლის კვალდაკვალ, იგი ახალი იდენტობების ფორმირებას უწყობს ხელს, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს ომგამოვლილი საზოგადოებებისა და მასში შემავალი ინდივიდების ღირებულებებზე, მოლოდინებსა, თუ ქცევებზე[14].

საერთაშორისო აკადემიურ ლიტერატურაში განხილული კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის თეორიები მეტწილად კულტურულ ტრავმას უკავშირებს ისეთ სოციალურ, რადიკალურ მოვლენებს, რომელიც ძირეულად ცვლის საზოგადოებების ცხოვრებას. თუმცა, კოლექტიური ტრავმის ბუნების შესწავლის ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდი უკავშირდება ტრავმის გამოხატვას - პროცესს, როდესაც ადამიანები იწყებენ ემოციების, ამბების გაზიარებას,[15] ჰყვებიან ისტორიებს, მსჯელობენ მიზეზებზე, განსაზღვრავენ დამნაშავეებს, რაც ასახვას ჰპოვებს საჯარო დისკუსიებში, პოლიტიკაში, მედიაში, ხელოვნებაში და ა.შ. ტრავმის ფენომენი აკადემიურ საზოგადოებაში ორ ძირითად განზომილებად იყოფა: ერთია ინდივიდუალური ტრავმა, როდესაც იგი ინდივიდის გარდაცვალებასთან ერთად წყდება, ხოლო მეორე - კოლექტიური ტრავმა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. 30 წლის შემდეგ დევნილ საზოგადოებას დღეს უკვე ჰყავს იმ ინდივიდთა ჯგუფები, რომელთაც ომის ტრავმა არ განუცდიათ, თუმცა მემკვიდრულად აქვთ იგი მიღებული[16].

---

[14] ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. (2022). საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (Vols. ISBN 978-9941-9796-4-4). თბილისი: გამომცემლობა "სამშობლო". გვ-18-27

[15] იქვე, გვ - 258-260’

[16] Reimann, U.K. (2018). Closing a gap in conflict transformation: Understanding collective and transgenerational trauma.

საქართველოში კუტლურული ტრავმისა და კოლექტიური მეხსიერების ფენომენის შესწავლისადმი მიძღვნილ წიგნში „საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაგზე“ განხილულია ალეიდა ასმანის (Assmann, Jan, 2010) იდეები გავლენის მქონე მოვლენისა (impact event) და გავლენის ნარატივის (impact narrative) - ცნებების შესახებ, სადაც ახსნილია, თუ როგორ იქმნება ასეთ დროს ნარატივები შინაარსობრივად და სტრუქტურულად და როგორ ილექება ისინი კოლექტიურ მეხსიერებაში. კოლექტიური მეხსიერება ზოგიერთ ასეთ ნარატივს შეუცვლელად „ინახავს“, ზოგ შემთხვევაში კი ახდენს მის ტრანსფორმაციას, ან სულაც ივიწყებს. ალეიდა ასმანს ამ კონტექსტში შემოაქვს „აქტიური“ და „პასიური“ დავიწყების ცნებებიც, რაც მიზანმიმართულად ზოგიერთ მოვლენის დავიწყებას, წაშლას უკავშირდება, ხოლო პასიური დავიწყების შემთხვევაში კოლექტიურ მეხსიერებას უბრალოდ ყურადღების მიღმა რჩება ისტორიის ზოგიერთი ფურცელი და დომინანტური ნარატივების ფონზე მათ მნიშვნელობა აქვთ დაკარგული.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის კოლექტიური ტრავმის გამოცდილება, პირველ რიგში, დაეფუძნა ომს და ადამიანურ და მატერიალურ დანაკარგებს. ამას მიღმა, ტრავმა, რომელიც ამ ადამიანებმა მიიღეს, დაკავშირებული იყო ახალ გარემოში მარგინალიზაციის, და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის რთულ გამოცდილებასთან. [17]

ამდენად, ტრავმის ბუნების შესწავლა, კონფლიქტის ტრანსფორმაციის ნაწილად მიიჩნევა. რაც თავის მხრივ, გულისხმობს მშვიდობის მშენებლობის პროცესში ომგამოვლილი საზოგადოების კოლექტიური ტრავმის, მეხსიერებაში დალექილი წარსულისა, თუ აწყმოში - ნარატივების ანალიზსს.

ინკლუზიური სამშვიდობო პოლიტიკა

როგორც უკვე აღინიშნა კონფლიქტის ტრანსფორმაცია არ მოიცავს მხოლოდ კონფლიქტის მართვას, იგი დაკავშირებულია სამშვიდობო პოლიტიკის დემოკრატიულობასა და ინკლუზიურობასთან, სადაც კონფლიქტის მხარეები სრულად არიან ჩართული სამშვიდობო პოლიტიკაში, საერთაშორისო, თუ ადგილობრივ ინიციატივებში. ბუშის (Bush) და ფოლგერის (Folger) განმარტებით, კონფლიქტის ტრანფორმაციის თეორია მშვიდობის მშენებლობის პროცესში ინდივიდებისა და ინდივიდთა პატარა ჯგუფების ჩართვის მეტ სივრცეს ტოვებს. “ქვემოდან-ზემოთ“ (bottom up) პრაქტიკები მშვიდობის მშენებლობაში ახალი არ არის, მათ ინტერესი 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიმსახურეს, თუმცა დროდადრო ისინი ინტეგრირდა კომპლექსურ მეთოდებში და როგორც ცალკეული მიდგომა, ჩაიკარგა. თუმცა, დღეს უკვე აქტიურად განიხილავენ თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები ისეთ ემპირიულ კვლევებს, რომლებიც კონფლიქტით დაზარალებული მხარეების აღქმებს შეისწავლის [18] და ამ მიგნებებს მშვიდობის მშენებლობის სტრატეგიების საფუძვლად მიიჩნევენ. ამ შემთხვევაში

[17] ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. (2022). საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (Vols. ISBN 978-9941-9796-4-4). თბილისი: გამომცემლობა "სამშობლო". გვ-256

[18] Peshkopia, R. (2020). A Bottom-Up View at Peacebuilding: Pragmatism, Public Opinion, and the Individual as Unit of Analysis in Postconflict Societies. In H. Carey (Ed.), *Peacebuilding Paradigms: The Impact of Theoretical Diversity on Implementing Sustainable Peace* (pp. 304-323). Cambridge: Cambridge University Press. doi:10.1017/9781108652162.019 p.12-34;

სამშვიდობო პოლიტიკის მოქმედ აქტორად სოციალური და ადამიანური განზომილებებია დანახული[19].

ამ კონტექსტში ასევე აქტუალურია აკადემიური მსჯელობა იმის შესახებაც, რომ მშვიდობის მშენებლობის სტრატეგიები და უსაფრთხოების კონცეფცია ერთდროულად უნდა დაეფუძნოს პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ თუ ისტორიულ თავისებურებებს[20]. კონფლიქტის ტრანსფორმაციის პარადიგმა, როგორც მშვიდობის მშენებლობის მიდგომა სწორედ იმ სოციალურ და კულტურულ მახასიათებლებს მოიცავს, რაც ასე მნიშვნელოვანია მდგრადი მშვიდობის მშენებლობისთვის. კრიტიკული თეორიის მიმდევრები უსვამენ ხაზსს იმას, რომ მდგრადი მშვიდობა მხარდაჭერილია ინდივიდების და არა მხოლოდ დიდი საზოგადოებრივი ჯგუფების, ან სახელმწიფოს მიერ. ამდენად, ქვემოდან-ზემოთ მშვიდობის მშენებლობაში ჩართვის მიდგომები ორ ძირითად პრაქტიკას ეყრდნობა:

(1) ინდივიდუალური განზომილება - როცა ინდივიდები არიან სოციალური ცვლილებების ინიციატორები;
(2) საზოგადოებრივი განზომილება (interpersonal relations) - რაც ეყრდნობა მშვიდობის მშენებლობაში კონფლიქტით დაზარალებულ მხარეებს შორის ურთიერთობას, რომელიც გამოიხატება დიალოგში, მეგობრობაში, ნათესაობისა, თუ მეზობლობის გაღრმავებაში (Hewstone and Brown, 1986). ლედერახი (Lederach, 2005) ხაზსს უსვამს სოციალურ ცვლილებების გაანალიზებაში ამ ურთიერთობების შესწავლის მნიშვნელობასაც, რაც არაერთი ანთროპოლოგის კვლევის ინტერესი გამხდარა.

იმის გამო, რომ „Bottom up“ მიდგომიები ძირითადად საზოგადოების ჯგუფების ფორმალურ, თუ არაფორმალურ შეხვედრებსა და ინიციატივებს მოიცავს, სახელმწიფოს მხრიდან ისინი ყოველდღიურ პრაქტიკაში უნდა იყოს მხარდაჭერილი; პრაქტიკოსები მიუთითებენ, რომ კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებს მართლია უკვე აქვთ წარსულში თანაცხოვრების გამოცდილება, თუმცა ამ გამოცდილებებზე აღქმები დროის სვლასთან ერთად იცვლება, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან ფორმალური, თუ არაფორმალური ინიციატივების შემუშავებას ერთჯერადი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს და იგი დევნილი თემისთვის დასწავლად პროცესად უნდა იყოს აღქმული[21]. სასურველია, რომ ამ ინიციატივებმა კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის არსებული დაპირისპირებები და უთანხმოებები, ორივე მხარისთვის საერთო და რელევანტური ინტერესების გამოკვეთით აღმოფხვრას.

კონფლიქტების ტრანსფორმაცია მიზნად ისახავს კონფლიქტის გამომწვევი სტრუქტურული მიზეზების ცვლილებას. შედეგზე ორიენტირებული ეს მიდგომა ადგილობრივ კონტექსტში მშვიდობის მშენებლობის შესაძლებლობებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც კონფლიქტის გამოცდილების მქონე საზოგადოებებს შორის დიალოგისა და საერთო ინტერესების შენების ხანგრძლივ პროცესს გულისხმობს.

---

[19] The Critical Theory Paradigm. (2020). In H. Carey (Ed.), Peacebuilding Paradigms: The Impact of Theoretical Diversity on Implementing Sustainable Peace (pp. 188-238). Cambridge: Cambridge University Press.
[20] Bachler, G. (2004). Conflict Transformation through State Reform. In: Austin, A., Fischer, M. and Ropers, N. eds. Transforming Ethnopolitical Conflict: The Berghof Handbook. Berlin, Germany: VS Verlag für Sozialwissenschaften, p. 260-282;
[21] Sandrine Lefranc. A Critique of 'Bottom-up' Peacebuilding: Do Peaceful Individuals Make Peaceful Societies?. 2011. ffhalshs-00646986, p.12-18;

ეს თეორია საკუთარი პრიზმიდან აკვირდება კონფლიქტით დაზარებული ადამიანების აღქმებსა და დამოკიდებულებებს, მათ მოსაზრებებს კონფლიქტთან დაკავშირებით[22]. ამ ცვლილების მისაღწევად კი პრაქტიკაში ოთხი საკითხის შესწავლას ისახავს მიზნად. ესენია აღქმები *სიმართლის, პატიების, სამართლიანობისა და მშვიდობის შესახებ.*[23]

წინამდებარე კვლევა სწორედ ამ ოთხი საკითხს ირგვლივ ერთიანდება და მათთან დაკავშირებულ პერსპექტივებს აკვირდება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ იმ პირებს შორის, რომლებსაც კოლექტიურ ცენტრებში, სხვა დევნილებთან ერთად სამი ათწლეული ცხოვრობდნენ. კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიის პერსპექტივიდან, მცდელობა იმისა, რომ გააზრებულ იქნას კონფლიქტის ძირეული მიზეზები, ეთნიკურად ქართველებსა და აფხაზებს შორის, მომავალში - საერთო მიზნებზე დისკუსიის სივრცეებს გააჩენს.

სამშვიდობო პოლიტიკა: ინსტრუმენტები

საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა პირობითად შეიძლება ორ ეტაპად გაიყოს. პირველი ეტაპი მოიცავს 90-იანი წლებიდან 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდს და მეორე - 2008 წლის აგვისტოდან დღემდე. ექსპერტების გადმოსახედიდან, მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდგომ პერიოდში სამშვიდობო პოლიტიკა გააქტიურებული იყო, ძირეული ცვლილებების მომტანი მაინც ვერ აღმოჩნდა. რის მიზეზადაც, სახელდება მაშინდელი პროცესის დინების მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევისკენ მინდობა[24]. საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული მისი ცალმხრივობის გამო[25], რაც კონფლიქტის ტრანსფორმაციულ პარადიგმაში დანახულია, როგორც ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც დაძლეულ უნდა იქნას, კონფლიქტით დაზარალებული მხარეებს შორის ნდობისა და დიალოგის გზით.

დღეს სახელმწიფოში არსებული სამშვიდობო პოლიტიკა მეტწილად უკავშირდება, როგორც ოფიციალურ მოლაპარაკებებს (ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები, კარასინ-აბაშიძის ფორმატი), ასევე საზღვარგარეთ არსებულ სამოქალაქო დიალოგის ფორმატებს (ქართულ-აფხაზური დახურული შეხვედრები). დევნილ მოსახლეობას, როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური შეხვედრების მიზნებისა, თუ მიღწევების შესახებ, ინფორმაცია არ აქვს. ამას ისიც დაემატა, რომ 2018 წელს მთავრობამ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო გააუქმა, დევნილებმა კი პოლიტიკურ დღის წესრიგზე გავლენის მოხდენისა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან საკუთარი საჭიროებებისა და ინტერესების გაჟღერების შესაძლებლობა დაკარგეს.

---

[22] Lederach, J.P. (1997). Building peace : sustainable reconciliation in divided societies. Washington, D.C: United States Institute of Peace Press. pp. 23-25

[23] Kriesberg, L. (2011). The State of the Art in Conflict Transformation.In: Austin, B., Fischer, M., and Giessmann H.J. eds. Advancing Conflict Transformation: The Berghof Handbook II. Opladen & Farmington Hills. Barbara Budrich Publisher. pp. 50-68

[24] ი. აბრამიშვილი, რ. ქოიავა, საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, 2018; პ. ზაქარეიშვილი, ხედვა - კონფლიქტები საქართველოში, 2021, გვ. 170-179.

მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოებებისთვის მშვიდობის მშენებლობის პოლიტიკაში ჩართვის ახალი შესაძლებლობები გაჩნდა. 2021 წელს, სახელმწიფო მინისტრის აპარატში კონფლიქტის რეგიონებში არსებული ვითარების ანალიზის, გამოწვევების გამოვლენის, განხილვისა და სამშვიდობო პოლიტიკაში შემდგომი ნაბიჯების შესახებ ექსპერტული მოსაზრებების გაზიარების მიზნით, შერიგებისა და ჩართულობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა საკონსულტაციო ჯგუფი შეიქმნა. ჯგუფის ერთ-ერთი მიზანი იყო სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებული „ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგია - ჩართულობა თანამშრომლობის გზით და ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შეფასების დოკუმენტის“ განხილვა; ამასთანავე, არსებობს საკონსულტაციო პლატფორმაც, რომელიც სამშვიდობო პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაზრდისა და გენდერული საკითხების ირგვლივ წელიწადში ორჯერ იკრიბება.

ცვლილებების მიუხედავად, არსებული ინსტიტუციური ჩართულობის მექანიზმები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და რეალური (აქ და ახლა), მონაწილეობითი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკას არ გვთავაზობს. პროცესში ჩართული სამოქალაქო ორგანიზაციების შეფასებით, (მათ შორის, დევნილი თემის მიერ შექმნილი სამოქალაქო ორგანიზაციები) შინაარსობრივი მუშაობა სახელისუფლებო უწყებების მხრიდან კონკრეტული გამოწვევების შესახებ არ ხდება და შეხვედრები ფორმალური განხილვის რეჟიმში მიმდინარეობს[26].

თუ, არ გვაქვს ომი? გვაქვს, თუ არა მშვიდობა?!

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ადამიანებისგან ხშირად მოისმენთ, რომ ომი მათთვის ჯერაც არ დასრულებულა. ეს ფრაზა ალბათ მოგვაგონებს იოჰან გალტუნგის პოზიტიური და ნეგატიური მშვიდობის იდეას, რომლის თანახმადაც, ის რაზეც რესპონდენტები საუბრობენ, ნეგატიური მშვიდობის ნაწილია, მშვიდობისა, რომელიც მოიაზრებს ომისა და ძალადობის არარსებობას; თუ არ დასრულებულა ომი, მაშინ რა ჰქვია იმ მდგომარეობას, რაშიც დღეს საქართველოში მყოფი იძულებით გადაადგილებული პირები ცხოვრობენ.

რესპონდენტებისთვის მშვიდობა არ არის მოცემულობა, როდესაც ჭიდილი გიწევს ყოველდღიურ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრისთან, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საჭიროებასთან. სიღრმისეული ინტერვიუების მიმდინარეობისას რესპონდენტების მხრიდან არაერთხელ აღინიშნა დევნილებისთვის დღეს არსებული მძიმე სოციალური ყოფა. მათი უმეტესობა ახალი ბინების მოლოდინშია, თუმცა ზოგიერთი ოჯახისთვის ჯერ კიდევ პრობლემურია პირველადი საჭიროების ნივთების, საყოფაცხოვრებო აღჭურვილობის შეძენა და სახლში განთავსება. დევნილთა ეს ისტორიები კიდევ ერთხელ ზედაპირზე წამოჭრის მჭიდრო კავშირებს თემის პოლიტიკურ აგენტობასა და სოციო-ეკონომიკური პრობლემებს შორის.

[26] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ეთო კოპალიანი, „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკთხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი-მანდატის და საქმიანობის კრიტიკული ანალიზი, 2023

„ჩემს ახალ და ცარიელ სახლში, როგორც სტუმარი ისე მივდივარ, ჩემი შვილი თურქეთში წავიდა, მე აგერ ბაზრობაზე ვმუშაობ და ერთმანეთს დავეხმარებით, ახალ სახლში ახალი ნივთები გვინდა შევიტანოთ“(წყალტობო #27, ქალი, 63 წლის;

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის 30 წლის განმავლობაში კონფლიქტით გამოწვეული სირთულეები დღემდე არ განელებულა. დროის სვლასთან ერთად დევნილთა ოჯახებში გამოწვევები და ტრავმები თაობიდან თაობას გადაეცემა და როგორც ინდივიდებს, ისე ოჯახებს სტაბილური განვითარების შესაძლებლობას ართმევს. გამოკითხული რეპონდენტებიდან ზოგიერთი ომის დაწყების პერიოდში მცირეწლოვანი იყო, ზოგსაც კარგად ახსოვს კონფლიქტის წინა პერიოდი.

საუბარს რესპონდენტებთან აფხაზეთში ცხოვრებითა და ომამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე გადამხდარი ამბების აღწერით ვიწყებდით. რითიც ვცდილობდით გაგვეგო მათი მოსაზრებების ცვლილება რამდენიმე დროით განზომილებაში - *ომამდე ძალიან დიდი ხნით ადრე; ომის წინა პერიოდში (რამდენიმე წლით ადრე), უახლოესი წარსულში* (ქართულ აფხაზური საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობები ბოლო 30 წლის განმავლობაში) *და მომავალის* ხედვებში კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით.

როგორ იწყებოდა აფხაზეთის ომი?

კონფლიქტის საწყისებთან დაკავშირებული კითხვები არ უკავშირდებოდა მხოლოდ კონფლიქტის წინარე პერიოდს, ინტერვიუს გზამკვლევის ამ ნაწილის მიზანი იყო რესპონდენტებს გაეხსენებინათ შედარებით უფრო გვიანდელი პერიოდები, მაგალითად, მოგონებები ბავშვობიდან, სათამაშო ეზოებსა, თუ სასკოლო ოთახებში, როგორი იყო დევნილთა ოჯახების ურთიერთობები აფხაზებთან. ინახავს თუ არა მათი მეხსიერება აფხაზებთან დაპირისპირების კონკრეტულ ისტორიებს. გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა ამბობს, რომ მათ ქალაქებსა თუ სოფლებში არასდროს იგრძნობოდა ომისმომასწავებელი დაძაბულობა. ომამდე პერიოდს ისინი იხსენებენ, როგორც „ჰარმონიულს“, „არაკონფლიქტურს“ „მეგობრულს“ და „ოჯახური ურთიერთობებით“ გაჯერებულს. რესპონდენტები აფხაზებისა და ქართველების მშვიდობიანი თანაცხოვრების ამსახველ მრავალფეროვან ამბებს ყვებიან, დევნილებისთვის აფხაზეთი იყო „ადგილი ყველასთვის“, სადაც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს ერთად შეეძლო ცხოვრება.

„მე სადაც ვმუშაობდი, სოხუმში - იქ აფხაზი, მეგრელი, რუსი, სომეხი და ბერძენი თანამშრომლებიც კი მყავდა. წინა თანამდებობებზე აფხაზები იყვნენ და ჩვენ არ გვქონია პრობლემა, პირიქით, ვიცოდით რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო, პატივს ვცემდით მათ.“(რესპ. #2, ქალი, 53 წლის, თბილისი)

„არ მეყოფა დღე მე რომ მოგიყვე როგორ ვცხოვრობდით და ჩვენ როგორ დიდ პატივს ვცემდით [აფხაზებს].ჩემთვის ძალიან მტკინვეულია უკვე ამ კარგი ცხოვრების გახსენებაც. თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ისინი პატივსაცემები იყვნენ, ეგრე ვიზრდებოდით რომ აფხაზია და პატივი უნდა სცე. ამიტომ ვერ წარმოვიდგენდით რაც მოხდა. ეს პატივცემული ხალხი რას მოიმოქმედებდა. მაგრამ მათშიც ერივნენ ისეთები, რომლებსაც რუსებმა იოლად გაუღვიძეს პატივმოყვარეობა“ (რესპ. 17, კაცი, 70 წლის, ზუგდიდი).

აფხაზებთან თანაცხოვრების ნოსტალგიური მოგონებები, საზოგადოებებს შორის მცირე დაძაბულობის სურათებსაც ასახავს. მათზე გამოსახული მოვლენები აფხაზეთში ომამდე ერთი ათეული წლით ადრე ვითარდება. მაგალითისთვის,

(i) რესპონდენტი (#3, კაცი, 48 წლის) წყალტუბოდან ყვება, რომ სკოლაში აფხაზ და ქართველ ბიჭებს შორის დაპირისპირება ხშირად ხდებოდა; რომ აფხაზები ყოველთვის აფხაზებს ეხმარებოდნენ, ქართველები ქართველებს.

(ii) ერთ-ერთი რესპონდენტი (#19, ქალი, 59 წლის) ზუგდიდიდან იხსენებს, რომ ომამდე მის ოჯახში სტუმრად მყოფი აფხაზი მეზობელი ომის საფრთხეებზე საუბრობდა და ახსენებდა იარაღს, რომელიც თურქეთიდან საიდუმლოდ შემოჰქონდათ აფხაზებს, იგივე რესპონდენტი ამბობს, რომ ეს „აბსურდული“ ამბავი ოჯახმა მალე დაივიწყა;

(iii) რესპონდენტი (#12, ქალი, 40 წლის,) თბილისიდან იხსენებს, რომ ქართველები, ხშირად წუხდნენ აფხაზების პრივილეგირებულ პოზიციებზე აფხაზეთში (რაც გამოიხატებოდა მათ თანამდებობებზე დანიშვნაში), მაგრამ ამას ხმამაღლა არ აპროტესტებდნენ.

(iv) რესპონდენტი (#19, 46, ქალი 59 წლის) ზუგდიდიდან იხსენებს, რომ ომამდე ორი წლით ადრე შეესწრო ჩხუბს სოხუმში ერთ-ერთ ავტობუსში, სადაც ეთნიკურად აფხაზი მთვრალ მეგრელს დაუპირისპირდა და უთხრა, რომ ის მის მიწაზე იმყოფებოდა.

(iv) წყალტუბოს ახალ დასახლებაში მცხოვრები ერთ-ერთი კაცი რესპონდენტი (#22, კაცი, 83 წლის) იხსენებს, რომ ომამდე რამდენიმე წლით ადრე, გაიგო ამბები, იმის შესახებ, თუ როგორ აგროვებდნენ იარაღის ფულს აფხაზები.

„ყოველთვის ჰქონდათ [აფხაზებს] პრორუსული განწყობა და არა პრო ქართული, საბჭოთა კავშირის შემდეგ ჩვენ რუსეთს ვშორდებოდით და ამათ არ უნდოდათ რუსეთთან დაშორება, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიელები იყვნენ და საერთო ნათესაური კავშირები გვაქვს და ტრადიციები, სად რუსული და სად ქართული, ჩვენ ერთი გვქონდა. მაგრამ მაინც იმის გამო, რომ ჩვენ მაინც ვიყავით საფრთხე. სინამდვილეში რუსეთი უფრო საფრთხეა, ეგონათ რომ გავაქართველებდით მათ დაკარგავდნენ ენას და კულტურას. მოდი ასე ვთქვათ ლეგიტიმური საფრთხე იყო მათთვის.“ წყალტუბო, #3, კაცი, 48 წლის

ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ დევნილებისთვის *ომამდე დიდი ხნით ადრე და ომის წინარე პერიოდში* აფხაზი მტრად არ აღიქმებოდა, თუმცა ფიქრობენ რომ აფხაზები მუდმივად იყვნენ უკმაყოფილოები (#10, კაცი, 54 წლის, თბილისი), ომი კი რუსეთის მხარდაჭერით დაიწყეს, - “რუსების შეგულიანებულები იყვნენ აფხაზები”, “რუსებმა გააქეზეს ისინი”.

ჩემთვის პრობლემური ეს ყველაფერი 1989 წლიდან გახდა, ეროვნული მოძრაობის პირველ ეტაპზე გაჩნდა კონტრ-ეროვნული მოძრაობა, რა თქმა უნდა რუსეთის სპეც-სამსახურების მიერ წაქეზებული, ეს იყო 88-89 წელი და 89-ში მოხდა პირველი შეტაკება. მე ვიყავი უკვე 14 წლის და მახსოვს კიდეც, იქ სადაც მე ვცხოვრობდი, სოხუმისა და გულრიფშის საზღვარზე, ერთ-ერთი დაძაბული კერა იყო იქ. მახსოვს რუსეთის სპეც.დანიშნულების რაზმის ორი ავტობუსი, ჩვენთან ეზოში შემოვიდნენ და ორმეტრიანი დესანტები შემოვიდნენ და ეზოში გადაამოწმეს რომ იარაღი არ ყოფილიყო.“ (თბილისი, #10, კაცი, 54 წლის)

ამ მცირე ისტორიების პარალელურად იძულებით გადაადგილებული პირები ამბობენ, რომ მათთვის ეს ამბები ყურადსაღები არასდროს ყოფილა და არც იქნებოდა, რომ არა „რუსეთი“, რომელმაც ეს პროცესები „ომად გადააქცია“. წყალტუბოს ერთ-ერთ სანატორიუმში მცხოვრები რესპონდენტი (#23, ქალი, 49 წლის) ამბობს, რომ მის მეზობლად მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოხუცი ქალი ომის დაწყების დროს ვერ იჯერებდა, რომ აფხაზი სეპარატისტები მათი სოფლისკენ მოდიოდნენ და საცხოვრებელს არ ტოვებდა: „იმისთვის, რომ გადაგვერჩინა, მოვატყუეთ, გერმანელები გვიტევენო და მერე დაიჯერა, მანამდე არ იჯერებდა რომ აფხაზები რანაირად გვესვრიანო.“ რესპონდენტი (#23, წყალტუბო).

„ომის პერიოდშიც კი, აქეთ რომ გადმოვედით [წყალტუბო] ამასაც კი ვერ აღვიქვამდით, რომ ამას ომი დაერქვა. უფროსი თაობაც ვერ აღიქვამდა, დღემდე უჭირთ, ჩვენმა თაობამ უფრო გაიაზრა, რომ ეს იყო ომი და მტრობა, ვიდრე ჩვენი მშობლებისამ“.
(წყალტუბო, #23, ქალი, 49 წლის)

დევნილები აფხაზების „ორი სახის“ შესახებ

„ჩვენ მეზობლებთან არ გვქონია კონფლიქტი, ვერაფერს გეტყვით ამ გარუსებულ ახალი თაობის აფხაზებზე
(რესპონდენტი 17, ზუგდიდი, კაცი, 70 წლის)

დევნილების მოთხრობილ ამბებში, ერთი მხრივ, ჩანს აფხაზებთან წარსულში კარგი მეზობლობა, თანამშრომლობა, ნათესაური კავშირები და მეორე მხრივ, დღეს აფხაზეთში მცხოვრები აფხაზები მოხსენიებული არიან, როგორც „აფსუების“ შთამომავლები,“ „ახალი აფხაზები“. მათთვის „ძველი აფხაზის“ სახე ჩანაცვლებულია „გარუსებული აფხაზით.“

„ომამდელი აფხაზი“ მათ მეხსიერებაში დაკავშირებულია „კულტურულ“, „სანდო“ ადამიანთან. რესპონდენტების ტერმინოლოგიით კი აფხაზეთში დღეს მცხოვრები „ახალი თაობა“, ან ის თაობა, რომელმაც ქართველების წინააღმდეგ ომში იბრძოლა „სხვა აფხაზის“ სახელით მოიხსენიება.

რა მოხდა სინამდვილეში აფხაზეთში, როგორია დევნილებისთვის სიმართლე და სამართლიანობის განცდა. ვინ არის დამნაშავე და ვინ მსხვერპლი ? - გამოკითხული ყველა რესპონდენტისთვის ომამდე პერიოდში არსებული რეალობა და სიმართლე დაკავშირებულია ისეთ ნარატივებთან, როგორიც არის: „ომამდე პერიოდში დაძაბულობა აფხაზებსა და ქართველებს შორის არ იგრძნობოდა“; „აფხაზების პრივილეგირებულობას ქართველები პატივს

სცემდნენ“; „იყვნენ მეგობარი აფხაზები და იყვნენ „სხვა აფხაზებიც“, რომლებმაც ომი დაიწყეს“; „რუსეთმა გააქეზა აფხაზები საომრად“.

დევნილებში ასევე გვხვდება ქართული ნაციონალისტური ნარატივი, რომელიც თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს დევნილების მოსაზრებებზე აფხაზი ერისა და ზოგადად, აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველმოსახლეობის საკითხებთან დაკავშირებით.

„რუსეთმა აფხაზებად სხვა გამოიყვანა, ხალხი იყო იქ ბერიას პერიოდში ჩასახლებული, თავად ბერია ხომ აფხაზეთიდან იყო, მაშინ რა გამოდის ხო? ეგ ვინღა ჩამოასახლა? ეს ისტორია სწორი არ არის. ქრისტიანი მოსახლეობა, რომელიც აფხაზად იწოდებოდა, ეგენი ქართველები იყვნენ ყველა. „აფსუას“ ვისაც უწოდებდნენ, ეგენი იყვნენ კი. ჩვენი დამოკიდებულება ასე არ იყო, არ ვეძახდით „აფსუებს“ ან რამეს, უბრალოდ გვქონდა რომ ქართველი იყავი ან არ იყავი ქართველი. იქ ასე ვერ ვცნობდით ერთმანეთს, ან ყველა ქართველები ვიყავით, ან არ ვიყავით და იყვნენ ესტონელები, ბერძნები, სომხები, სადღაც 25%-მდე არაქართველი მოსახლეობა იყო. აფხაზები მაშინ 17% შეადგენდნენ, 70% ქართველები იყვნენ და დანარჩენი სხვა მოსახლეობა. სოფლები იყო ესტონური, სომხური, ბერძნული.“(წყალტუბო, #23, ქალი, 49 წლის)

„მე დედით აფხაზი ვარ, მოქვიდან, მოქვის მონასტერი აფსუებით დასახლებული არ იყო, მერე რომ გახდა საჭირო რუსეთისთვის, ჩამოასახლეს „აფსუები“. სკოლაში რომ დავდიოდი ვიღაცამ თქვა, რომ გალის ერთ-ერთ სოფლიდან მიჰქონდათ პასპორტები სკოლის მოსწავლეების, სადაც ყველას დაუწერეს ეროვნული აფხაზი მიუხედავად იმისა, რომ არ უნდოდათ. თორემ გალში ეთნიკურად აფსუა არავინ ცხოვრობდა. აფხაზები მართლაც ქართველი აფხაზები - გალელები არიან, ეს ეთნიკურად აფსუა გალში არასოდეს არ ცხოვრობდა. დაბლობში არ იყვნენ. მეგობარი მყავს, რომ ბებიაჩემი ამბობდაო, რომ გუდაუთში რომ გავთხოვდიო, იქაურს რომ გაყვა აფხაზსს, ერთი აფსუაც კი არ ცხოვრობდაო, ვინც არაქართულად საუბრობდაო, ანუ მე-20 საუკუნის დასაწყისში.“ (წყალტობო #23, ქალი, 49 წლის)

ამავე დროს, დევნილები იხსენებენ, მათი კარის მეზობლებს, თუ თანასოფლელ აფხაზებს, რომლებსაც ომის პასუხისმგებლობას არ აკისრებენ და ჰყვებიან ისტორიებს, როდესაც აფხაზები ეხმარებოდნენ ქართველებს ტერიტორიის უსაფრთხოდ დატოვებაში. ნაწილ რესპონდენტებს განსხვავებული გამოცდილება აქვს, მათ მოგონებებში ნათლად არის აღბეჭდილი ის აფხაზი ნათესავები და მეზობლები, რომლებმაც ჩაიდინეს მკვლელობები და ფიზიკურად გაუსწორდნენ მათ ოჯახის წევრებს, გაქრუდეს მათი სახლები. ამ მძიმე ისტორიებს გასდევს რესპონდენტების რიტორიკული შეკითხვები, აფხაზების მოტივთან დაკავშირებით.

გამოკითხული რესპონდენტების ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ მსჯელობაში დროითი ასპექტის შემოტანის მცდელობა რთულია იმდენად, რამდენადაც რესპონდენტების მოსაზრებები ერთდროულად შეიძლება იყოს განხილული წარსულშიც და მომავალშიც. მათთვის ომის დასაწყისი და კონფლიქტის დღეს არსებული მდგომარეობა რუსეთის პოლიტიკური თამაშის შედეგია.

დამნაშავის ძიება

რესპონდენტები ინტერვიუების დროს საკუთარი ინიციატივით გვიზიარებდნენ „დამნაშავეების“ შესახებ პერსპექტივებს. მათი აზრები ომის პოლიტიკური პასუხისმგებლობის შესახებ მრავალშრიანია, რაც გამოიხატება, დამნაშავის ძიების მცდელობაში, რამდენიმე აქტორის გამოკვეთით. მეხსიერებაში შემორჩენილ ამბებზე, ისტორიებსა, თუ სხვადასხვა კოლექტიურ ნარატივებზე დაყრდნობით, მათთვის ომის პოლიტიკური პასუხისმგებლობა უკავშირდება, როგორც რუსეთს, ისე აფხაზ და ქართულ მხარეს. დევნილების მსჯელობაში ერთი მხრივ, დამნაშავე რუსეთია და მისი იმპერიალისტური მიზნები, მეორე მხრივ, კი აფხაზი მოსახლეობის ნაწილი, რომელშიც დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა ანტიქართული მოძრაობა. დევნილები ასევე საუბრობენ ქართული მხარის მიერ დაშვებულ პოლიტიკურ შეცდომებზე, როგორც ომამდე, ისე ომის მიმდინარეობისას. მიუხედავად ამ შეცდომებისა, ისინი დასძენენ, რომ ომის თავიდან არიდება ქართული მხარისთვის შეუძლებელი იყო.

„ყველა ვფიქრობდით რომ იქნებოდა ანტიქართული მოძრაობები, მაგრამ ვიცოდით რომ მოგვარდებოდა საქართველოს მთლიანობის შენარჩუნების ფარგლებში და არავინ ვფიქრობდით, რომ ომში გადაიზრდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლამდე მეტნაკლებად ჩაცხრა ეს პრობლემა. 89-ში მახსოვს პატარა შეტაკება. 1991-ში ოფიციალურად დაიშალა საბჭოთა კავშირი და რასაკვირველია, რომ კონტრ-ქმედებები მოჰყვებოდა აფხაზების მხრიდან, და იყო ამის მოლოდინი. აუცილებლად მოხდებოდა. ამისთვის ყველაფერს აკეთებდა რუსეთი და იქაური მათი პოლიტიკოსები.“ ზუგდიდი, #17, კაცი, 70 წლის;

„ვინ გაისროლა პირველად პეტრემ თუ პავლემ, მოხდა ხო სისხლის ზღვრა, ეს სჭირდებოდათ რუსებს, ასე ერთი ხელის მოსმით ქართველებს ვერ გაგვყრიდნენ და ჩაერთო რუსეთის სპეც სამსახური, ჯარი,ავიაცია, რუსეთი ფაქტობრივად ამ კონფლიქტის მონაწილე იყო სამხედრო თვალსაზრისით და იღბალიც რუსეთმა გადაწყვიტა და ჩეჩნებმაც. აფხაზებმა დიდი დანაკლისი ნახეს, მსხვერპლიც გაიღეს და ამიტომ არის რთული დღეს მათთან საუბარი. ვიღაც შეიძლება ნანობდეს, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ იტყვის, ამიტომ ეტყვიან მაშინ აბა რისთვის ვიბრძოდი, რისთვის დავღვარეთ სისხლი, ქართველებიც ამას ვამბობთ. რუსეთს რო შევუერთდეთ ახლა ვინ იტყვის 9 აპრილზე, რომ ვინმემ თქვა რისთვის შევწირეთ თავი. რისთვის დაიღუპნენ ადამიანები?“ წყალტუბო, #3, კაცი, 48 წლის

27 რესპონდენტიდან 23-მა თავად მოახდინა რუსეთის როგორც დამნაშავის როლის იდენტიფიცირება კონფლიქტში. გამოკითხული რესპონდენტების ნაწილი ომის მიმდინარეობისას მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ ომის დანაშაულში რუსეთს და აფხაზ მხარეს ერთდროულად ადანაშაულებს. მათთვის დღეს არსებული აფხაზური პოლიტიკური კლასი რუსეთთან სრულად არის შერწყმული და რთულად გასამიჯნია აფხაზი პოლიტიკოსი, რუსი პოლიტიკოსისგან.

„მე იმისთანა მამა მომიკლეს აფხაზებმა. შუბლგახვრეტილი იყო, ჩვენ უკვე მივდიოდით, და უბრალოდ რაღაცაზე გავიდა, არ ვიცი და გაზართან მოხდა მერე ჩხუბი, ვიღაც მოკლეს იქ და იმას გამოექომაგნენ ქართველები და ერთი მამა იყო. და როგორც ხდება ხოლმე. ასე არც აცალიეს, ესროლეს უცბად. სხვაც ბევრი ვიცი, აწამეს და დატანჯეს აფხაზებმა, იმისთანა ამბებია. [...] მიჭირს ასე მოყოლა, გაფიქრება. მამას მკვლელი ზუსტად ვიცი ვინც იყო, ვიცნობდით ჩვენ მაგ ოჯახს. გვარიც ვიცი. მერე ნათესავი აფხაზი დაგვეხმარა დასაფლავებაში.“(ზუგდიდი, #19, ქალი, 59 წლის).

ზუგდიდელი რესპონდენტი (#17, კაცი, 70 წლის) იხსენებს ერთ ეპიზოდს, სადაც იგი ეთნიკურად ქართველი ჯარისკაცს შეხვდა.

“80 წლის კაცი ძროხას ეძებს, ეს აგენტი არისო და ხეზე მიაბეს, ჯაბას ხალხმა (ჯაბა იოსელიანი) *ვებერთელა ევკალიპტზე, ბიჭო რას შვრებით, საწყალი, ცოდვაა ეს კაცი-თქო, და ესეც მიაბითო, ჩემზე.”*

აგრძელებს მისი მეუღლე,

“ვიკივლე და გამოვათრიე აქეთ, ასე გადაჭრეს [დაცხრილეს] *ის კაცი, ავტომატით ჩვენებმა. ის დაგინდობს მერე? რა უნდა ეშპიონა იმას. ასეთი რაღაცები გააკეთეს და მერე აფხაზი დაგინდობდა?. მერე ჩეჩნები ჰყავდათ იმათ, მერე ჩეჩნები არც მე მიცნობდნენ და არც არავის პატივს არ სცემდნენ. მიჰყვნენ და გადაწვეს მთელი სოფელი. ჩეჩნებმა მოკლეს მამაჩემი.” (რესპონდენტი #15, ქალი, 69 წლის, ზუგდიდი).*

სამართლიანობის განცდის კონტექსტში საინტერესოა რესპონდენტების მკაცრი შეფასებები მაშინდელი პოლიტიკური კლასისა და ნაციონალიზმის მიმართ. მაგალითად, ორი რესპონდენტი ზუგდიდიდან, ამბობს რომ მათი აზრით, ომის წინა პერიოდში ქართველი პოლიტიკოსების შეცდომები, ასევე, ომის დროს არსებული „უკონტროლო სიტუაციები ქართულ ჯარში“ (რესპ. #15, ქალი, 69 წლის, ზუგდიდი) (რესპ. #17, ქალი, 70 წლის, ზუგდიდი) მაშინდელი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. ზოგიერთი რესპოდენტენი თავს იკავებს ამ შეფასებისგან და ამბობს, რომ ქართულ პოლიტიკურ კლასს, რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიეღო, მოვლენები მაინც რუსეთთის იმპერიალისტური გეგმების მიხედვით განვითარდებოდა (#3, კაცი, 48 წლის, წყალტუბო).

„ვიცოდი რომ მზადდებოდა ბართლომეს ღამის მაგვარი რამე. სტალინის დრო ხომ არ იყო რომ ქართველები ვაგონში ჩაესვათ და გულაგებში წაეყვანათ. აფხაზებს კიდე ამის რესურსი არ ჰქონდათ, რუსები კიდე ასე ღიად ვერ გააკეთებდნენ. შესაბამისად, რაღაც უნდა მომხდარიყო და ეს რაღაც უნდა ყოფილიყო კონფლიქტი და ამისთვის ყველაფერი გააკეთა აფხაზურმა მხარემ. აქეთ კიდე სამოქალაქო ომი და ბანდიტიზმი იყო, თავისი ვითომ ჯარით და გვარდიით, ისე მოხდა, რომ მაქსიმალურად ისარგებლა რუსეთმა და გააკეთა ის, რის გაკეთებას აპირებდა, მათ შორის ჩვენი [ეთნიკურად ქართველები] დახმარებით ბრჭყალებში და ბრჭყალების გარეშეც, გვქონდა პირდაპირი აგენტურა. [...] რა უნდა ექნათ ამათ? [ქართული პოლიტიკური კლასი] ვერაფერს იზამდნენ, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო. ერთი უნდა შეეტყოთ რომ ბევრი ხალხი მოკვდებოდა და ეგ უნდა აერიდებინათ და კიდევ გაეკონტროლებინათ ჯარი“ წყალტუბო, #3, კაცი, 48 წლის

ქართული პოლიტიკური კლასის კრიტიკა უკავშირდება ასევე ბოლო 30 წლის განმავლობაში, როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარის ჩადენილი დანაშაულებების გამოუძიებლობასაც. რესპონდენტები ასევე ასახელებენ „შეცდომების“ (#3, კაცი, 48 წლის, წყალტუბო) კონკრეტულ მიზეზებს, მათ შორის იყო მხედრიონის რიგების საეჭვო შემადგენლობა. *„მხედრიონმა დაიფიცა და თავიდან ვაჟკაცი ბიჭებით იყო შედგენილი, თუმცა, მერე მოღალატეებითა და ყაჩაღებით შეივსო“* (რესპონდენტი წყალტუბოს ახალი *დასახლებიდან).*

„მთავარ თანამდებობებზე აფხაზები იყვნენ, მოადგილეებად ქართველები. ქართველებს არ გვქონია მტრობა. მათ არ უნდოდათ ჩვენთან და რუსეთი აირჩიეს. ჩვენი პოლიტიკოსები სუსტები აღმოჩნდნენ, ვერ გააკონტროლეს სიტუაცია. 1994 თუ 95 წელს რომ დააკანონეს რუსეთის სამშვიდობოები, მაშინ ჩემთვის გულში გადავწყვიტე, რომ დავკარგეთ აფხაზეთი. რუსეთის ჯარი როცა ჩადგა იქ, როგორც სამშვიდობო, მაშინდელმა ჩვენმა ხელისუფლებამ ფაქტიურად, ხელის მოწერით რუსეთს ჩააბარა საქართველო. ჩემთვის მაშინ დასრულდა აფხაზეთი საბოლოოდ. მაგრამ ფიქრებში ყოველთვის იარსებებს.“ წყალტუბო, #20, ქალი, 72 წელი;

„ჩეჩენმა ტერორისტებმა, ანუ რუსეთის ფედერაციის არმიამ აიღო კოჩარა, ჩემი სოფელი. ამ დროს აფხაზი ბიძაჩემები მოვიდნენ, მოილაპარაკეს უფროსებთან და მათ სოფელში გადაგვიყვანეს მერე. ეთნიკური მტრობა რომ ყოფილიყო, განა შეძლებდა აფხაზი ბიძაჩემი თავის სოფელში გადმოეყვანა ქართველები. ეს მოსახლეობის ნაწილმა გადაწყვიტა, რომ რუსეთში გაეგრძელებინა ცხოვრება, და დანარჩენმა გადაწყვიტეს რომ თავისის სახელმწიფო ყოფილიყო დამოუკიდებელი. რუსეთმა საერთო ნახა იმ ხალხს შორის ის, რომ ეთნიკურად განსხვავებული იყვნენ, თორემ ჩემი სოფლელი ეთნიკურად აფხაზი ჩვეულებრივად იბრძოდა აქეთ, ქართველების მხარეს. (წყალტუბო, #23, ქალი, 49 წლის)

კონფლიქტის, როგორც მიზეზად, ისე გამოსავლად რესპონდენტები რუსეთს და მის დასუსტებას ასახელებს. მათთვის, უკრაინაში მიმდინარე მოვლენები რუსეთის შესუსტების წინაპირობად არის აღქმული, რაც მათი აზრით, აფხაზეთში რუსეთის ინტერესების გაქრობას გამოიწვევს. ზოგიერთი რესპონდენტი ფიქრობს, რომ უკრაინაში დაწყებული ომი საქართველოსთვის ახალ შესაძლებლობებს შექმნის აფხაზებთან მოლაპარაკების თვალსაზრისით. რესპონდენტების მეორე ნაწილისთვის, მიმდინარე ომი პირიქით, დიდ საფრთხესთან ასოცირდება, და როგორც ახალი კონფლიქტის/ომის დაწყებად აღიქმება. რესპონდენტთა ინტერვიუების ეს ნაწილი განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან, მათ პოზიციებში გამოიკვეთა ომის შიში და ომის დაუშვებლობის/მშვიდობის შენარჩუნების სურვილი.

კონფლიქტის მრავალშრიანობაზე მიუთითებს ომის საწყისებთან დაკავშირებით გამოკითხული რესპონდენტების მოსაზრებების არათანმიმდევრულობა. რესპონდენტებისთვის ომის წინა პერიოდი აფხაზებთან ურთიერთობის კონტექსტში ჰარმონიულად ხასიათდება. უჭირთ გაიხსენონ ისეთი ისტორიები, რომლებიც აფხაზებსა და

ქართველებს შორის მძიმე დაძაბულობას ასახავს, ან თუ მოიხმობენ ასეთ ისტორიებს, აუცილებლად დასძენენ, რომ ეს იყო ერთეული შემთხვევები. ომამდეც და ომის შემდეგაც, ქართველი დევნილები თვლიან, რომ აფხაზები არა მხოლოდ მეზობლები, არამედ ძმები და ოჯახის წევრები იყვნენ. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ მათი მეზობლები აფხაზეთში ან ის ადამიანები, ვისაც ქართველებთან ცხოვრება „ახსოვთ“, დღესაც იგივენაირადვე ფიქრობენ ქართველებზე. და თუ ვინმე ართულებს დღეს ამ ორ ეთნოსს შორის ურთიერთობას, ეს რუსეთია და რუსეთის მიერ მართული აფხაზი პოლიტიკოსები, ასევე „ახალი თაობის“ აფხაზები რომლებიც რუსული პროპაგანდის ქვეშ იზრდებიან.

რესპონდენტების შეფასებები ასევე ასახავს 90-იანი წლების პოლიტიკური ქაოსსა და სუსტ სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. რესპონდენტები თანხმდებიან, რომ „ომს აფხაზები საკუთარი გადაწყვეტილებით არ დაიწყებდნენ“ და მოვლენების ამგვარი განვითარება რუსეთის გეგმებში შედიოდა. რამაც ხელი შეუწყო 2008 წლის ომმა და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ. ომში ჩადენილ დანაშაულებების დროს რესპონდენტების უმრავლესობა იხსენებს ცალკეულ ისტორიებს აფხაზების სასტიკი ქმედებების შესახებ. რიგ შემთხვევებში, ასევე, საუბარია მაშინდელი ხელისუფლების პასუხისმგებლობებზე აფხაზეთში ჯარის შეყვანასთან და ზოგადად, ჯარის კონტროლთან დაკავშირებით.

„ქართველი ქართველს არ ინდობს, რა გააკეთეს სამეგრელოში, როგორი სადამსჯელო ოპერაციები გააკეთეს, იმდროინდელმა ბანდფორმირებამ? ამიტომ რატო არ უნდა ჰქონოდათ იგივე შიში აფხაზებს. ამიტომ შეიძლება ვიღაცამ იძახოს, სიტყვით ყველაფერს იტყვის, ამიტომ ორივე მხარეს გადასახედიდან უნდა იყურო, აქედან რომ იყვირო რომ მე ვარ ყველაფერში მართალი, იგივეს იტყვის აფხაზიც. რა თქმა უნდა, საქართველო ერთიანია და აფხაზეთი რომ საქართველოა, ეს ისტორიული ფაქტია. ვინაა ჩამოსახლებული, მაშინ ჩვენც ვიყავით გადასახლებული, ეს ნიუანსებია და ძალიან შორს წაგვიყვანს, ჩვენ იმაზე უნდა გვეფიქრა, როგორ შეგვენარჩუნებინა ერთმანეთი.“ (ზუგდიდი, #19, ქალი, 59)

გამოსავლის ძიება: დევნილთა ხედვები კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის აქტუალური საკთხებზე

აფხაზეთში დაბრუნება და ომის დაუშვებლობა

„„ჩვენ ვართ დედები და ჩვენ გვყავს შვილები. არცერთი დედა არ დაეთანხმება ომს. [...]მე არ მიღირს ჩემი ბიჭების ჩახოცვა იქ. რისთვის. მე არ მიღირს არაფრად ჩემი შვილების დაღუპვა, სხვა არ ვიცი რას ფიქრობს, მაგრამ მე ომი გამოვიარე , 15 წლის ვიყავი როდესაც მამაჩემი ომში დაიღუპა და ვიცი რაც არის ომი და ზუსტად ვიცი, რატოც არ მინდა. მეც და სხვა ქალებიც გეტყვიან, კაცებიც აქ ყველა, რომ ომი არავის გვინდა. არაფერი მიღირს მაგის ხელახალ განცდად. (რესპონდენტი წყალტუბოს ახალი დასახლებიდან).

გამოკითხული რესპონდენტების მთავარი პოლიტიკური სურვილი აფხაზეთში დაბრუნებაა. მნიშვნელოვანია რომ ძალისმიერი გზით ტერიტორიების დაბრუნებას არცერთი მათგანი არ

განიხილავს, აფხაზეთში დაბრუნება მათთვის განხილულია, როგორც დიალოგისა და მოლაპარაკებების შედეგი; საკუთარი სახლების დაბრუნებითა და შემდგომ იქ ცხოვრების დაგეგმვით. რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დროის სვლასთან ერთად, ეს საკითხი კრიტიკულად პრიორიტეტული უნდა გახდეს სახელმწიფოსთვის, ვინაიდან მათთვის „დაბრუნების“ გზა, რომელიც დიალოგზე გადის, იმ ადამიანებს უკავშირდება, რომელთაც ჯერ კიდევ ახსოვთ აფხაზეთი და ჰყავთ ნათესავები აფხაზეთში.

აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნებასთან დაკავშირებით, რესპოდენტთა ერთი ნაწილი ფიქრობს,რომ ეს მოვლენები რუსეთის დასუსტების პარალელურად დაიძვრება; ხოლო მეორე ნაწილი სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის გააქტიურებისკენ მიუთითებს. მათთვის უსაფრთხოების გარანტიები ევროპასთან და ევროკავშირთან ინტეგრაციასთან არის დაკავშირებული. დევნილები ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს სწორედ დასავლეთთან ინტეგრაციაში ხედავენ და აღნიშნავენ, რომ აფხაზ მხარესთან დიალოგი უნდა დაეთმოს დასავლეთთან უკვე არსებულ, თუ სამომავლო წარმატებულ თანამშრომლობებს და ახალი შესაძლებლობების გაცნობას.

„ჩვენში [დევნილი თემი] ყველაზე და მე ვიტყოდი უმრავლეს ქართველებზე უკეთ არავინ იცის, როგორია რუსეთი და რა მიზნები აქვს მას ხო?! ვინ გაიხედავს რუსეთისკენ. ამიტომ ჩვენ რომ ვმოგზაურობთ, თუ რა იქნება, აგერ ჩემი მეზობელის შვილია ობჩაში, მისი ღვინო გასცდა ევროპას, ამერიკას. ჩვენთან არის ეს პერსპექტივები და უსაფრთხოება და უნდა ვესაუბროთ, რომ თუ რამე გინდა გაყიდო აგერ ევროპაში, სადმე წასვლა თუ გინდა მოგზაურობა, სწავლა, რავიცი. რაც გინდა. [...] აუხსნა ეს, რომ ჩვენ გვინდა ევროკავშირში და ჩვენ საერთოდ სხვა მიზნები გვაქვს და მოდი შემოგვიერთდი. ომი და შენი განადგურება არ გვინდა, ჩვენ ყველა ვლაპარაკობთ ევროკავშირზე. ეს უნდა უთხრა შენ მათ.“

კვლევის რესპონდენტები, რომელთა ოჯახის წევრებიც ან ახლობლებიც აფხაზეთის ომში დაიღუპნენ, ამბობენ რომ “ბრაზი ყველას აქვს”, მაგრამ დღეს ყველასთვის “მშვიდობა უფრო მნიშვნელოვანია” (რესპონდენტი #26, ქალი, 35 წლის, წყალტუბო). ერთ-ერთი რესპონდენტი წყალტუბოს დევნილთ დასახლებიდან ამბობს, რომ ის თავის ოჯახთან და მეზობლებთან ერთად „თითქმის ყოველდღე“ ფიქრობს მშვიდობაზე, წარსულსა და მომავალზე, რაც ჩვენი დაკვირვებით, კონფლიქტით დაზარალებული ადამიანებისთვის ერთი დროით განზომილებად არის უკვე გადაქცეული.

დევნილებისთვის ომის არდაშვების მთავარი მოტივი, პირველ რიგში, ადამიანურ დანაკარგებს უკავშირდება. კვლევის სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტენტები 30 წლის წინ ნანახსა და განცდილს ჰყვებიან: ტრაგიკული ამბები - გარდაცვლილ მშობლებზე, შვილებზე, მცირეწლოვან ბავშვებზე, მეგობრებსა თუ ოჯახის სხვა წევრებზე მათი ყოველდღიურობის ნაწილია. საყვარელი ადამიანების სიკვდილის შიში - მათი მთავარი არგუმენტია ომის დაუშვებლობაზე საუბრისას.

„ჩემმა ბიცოლამ ოჯახის სამი წევრი დაკარგა, ჩემი სოხუმის სახლზე და რავიცი ნივთებზე, მასთან არასდროს ვლაპარაკობ. ეს არის ტკივილი რომელიც არასდროს გადის, იცით?! ომმა წაგვართვა, ავიწყდება ხალხს მგონია. და რა დააბრუნებს მაგას, ვერაფერი და მითუმეტეს ომი. ეგ ვის უნდა უხსენო, შვილმკვდარ დედას?.“(რესპონდენტი #5, კაცი, 40 წლის, წყალტუბო)

„ახლა რასაც მეკითხებით ეგენი მე ნაფიქრი მაქვს, სულ ვფიქრობ, აქ რომ ვსხედვართ ჩემები, მეზობლები, თუ ვინც, ხანდახან გამომვლელებიც კი, ყველაფერზე ამაზე ვლაპარაკობთ და ვიხსენებთ. არ ვივიწყებთ არცერთ დეტალს და ვყვებით იმ საშინელებებს. ვფიქრობთ როგორ უნდა აგვეცილებინა ომი და რა უნდა გავაკეთოთ. აგერ პატარებს ვუყვებით, დაჯექი ვეუბნები, ესმით რასაც ვამბობთ და იცოდნენ. მომავალმა უნდა იცოდეს, რა არის ცუდი, რომ ომი ცუდია. (რესპონდენტი #26, ქალი, 35 წლის, წყალტუბო).

“როცა ხვდები, რომ ომს შედეგი არ მოაქვს, ფიქრობ რომ კარგი განწყობა ჯობია, შერიგება ჯობია, ასე უფრო ძლიერები ვიქნებით. ერთად.[...] ორივე მხარე ძალიან დაიტანჯა. მე დავიტანჯე და ვიცი. ერთად ცხოვრებით უფრო მეტი უნდა შევძლოთ.“ (რესპონდენტი #5, კაცი, 40 წლის, წყალტუბო)

ერთ-ერთი რესპონდენტი წყალტუბოდან (#5, კაცი, 40 წლის), რომელიც ომის დაწყების პერიოდში 9 წლის იყო, იხსენებს ეპიზოდებს, როდესაც პატარა ბავშვები ქუჩაში “ომობანას” თამაშობდნენ, ამ თამაშში მათი მტერი - აფხაზი იყო. ახლა კი მისთვის აფხაზი ძმა არის და აფხაზებთან პირად საუბრებშიც ცდილობს ამის ხაზგასმას. კითხვაზე, თუ როგორ ტრანსფორმირდა მტრის სახე - ძმის სახედ დღევანდელობაში, რესპონდენტი გვეუბნება, რომ არ უფიქრია კონკრეტულად რა დროს მოხდა ეს ცვლილება, თუმცა დარწმუნებით შეუძლია თქვას, რომ ეს ცვლილება ომისგან თავის არიდების სურვილმა მოიტანა.

„აგრესია როგორ არ მქონდა, სულ მქონდა აფხაზების მიმართ, ყოველთვის და უსამართლობაა ჩემთვის, ჩემი ოჯახის ტრაგედია. მათაც შეიძლება დაეღუპათ ხალხი, მაგრამ მათ თავიანთ სახლებში მაინც იცხოვრეს. ახლაც მაქვს [აგრესია] მაგრამ არ ვფიქრობ... არ შველის, ახლა სხვა რაღაცაზე ვფიქრობ, რომ თუ გვექნება ერთი მომავალი ჩვენ და აფხაზებს, ერთად უნდა ვიცხოვროთ და მშვიდობიანად.“[#5, კაცი, 40 წლის, წყალტუბო)

ეს კონტექსტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ძალადობრივი კონფლიქტის თავიდან არიდების სურვილმა იძულებით გადაადგილებულ პირებში “დიალოგის” და “მოლაპარაკებების” საჭიროების დისკუსია შემოიტანა.

მშვიდობა

„მშვიდობა ჩემთვის არის უსაფრთხოება, თავისუფლება და სიყვარული. სამშვიდობო პოლიტიკას ვერ აწარმოებ თუ არ გიყვარს ის ადამიანი, ვისთანაც დასალაგებელი გაქვს ურთიერთობა. ურთიერთობა, მეგობრობა, თუ არცერთი არ გაქვს ვერაფერს გააკეთებ“. წყალტუბო. #25, ქალი, 43 წლის;

აფხაზი ოჯახის წევრები, შორეული ნათესავები, კლასელები, ნათლულები და ძველი მეგობრები - იმ ადამიანთა ჯგუფებია, რომლებთანაც იძულებით გადაადგილებული პირები კომუნიკაციის დამყარებას საკუთარი გზებით ცდილობენ. გამოკითხული 27 რესპონდენტიდან 12 ამბობს, რომ აფხაზეთში აქტიური კომუნიკაცია სოციალური ქსელის მეშვეობით აქვს შენარჩუნებული. „მონატრება“; „ინტერესი თუ როგორ ცხოვრობენ“ - ეს ის მიზეზებია, რაც კომუნიკაციის მოტივად დასახელდა რესპონდენტების მხრიდან. 12-დან მხოლოდ 2 რესპონდენტი მონაწილეობდა საზღვარგარეთ დიალოგის ფორმატში აფხაზებთან ერთად და მხოლოდ ერთ მათგანს აქვს შენარჩუნებული დღემდე აფხაზ მონაწილესთან კომუნიკაცია.

კვლევის მონაწილეები ამბობენ, რომ დევნილებს აფხაზეთში არსებულ პოლიტიკურ სურათთან დაკავშირებით საკმარისი ინფორმაცია აქვთ. ამის შესაძლებლობას სოციალური ქსელი იძლევა, სადაც ხედავენ, რომ აფხაზთა ნაწილს, “არც საქართველო და არც რუსეთი უნდა”. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ქართული მხარე სწორედ ამ ხალხს უნდა დაელაპარაკოს, უჩვენოს ის შესაძლებლობები, რაც მათ საქართველოსთან ყოფნის შემთხვევაში აქვთ.

კვლევის მიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება ისტორიებს აფხაზეთში მოქალაქეთა გადასვლის შესაძლებლობებისა და იქ არსებული მდგომარეობის შესახებ. ერთ-ერთი რესპონდენტის მამიდა მისმა აფხაზმა ნათესავებმა მიიწვიეს აფხაზეთში და გააფრთხილეს, რომ ქართულად საუბრისგან თავი შეეკავებინა. იგივე ისტორიას ყვება სხვა რესპონდენტიც, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა აფხაზეთში ქართულად ლაპარაკის შიში.

და მაინც, საინტერესოა, რა თემებზე საუბარი აერთიანებთ ქართველებსა და აფხაზებს. რესპონდენტების უჩვეულო მონათხრობები, ერთი მხრივ, აფხაზებთან აქტიური კონტაქტის და მეორე მხრივ, გაუცხოების დიდ უფსკრულს ასახავს. რესპონდენტები ამბობენ, რომ ისინი ქართულ-აფხაზურ ომზე საერთოდ არ ლაპარაკობენ. ომთან დაკავშირებული მოსაზრებების გამოთქმა, როგორც ერთი მხარეს, ისე მეორე მხარისთვის მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო ბარიერია. მათი თქმით, ძირითადად ვერ თანხმდებიან საქართველოს როლზე ამ ომში, ქართველი დევნილები ცდილობენ რუსეთის დანაშაულებზე ხაზგასმას, აფხაზი ნათესავებისგან კი ეს მიდგომა დანახულია, *როგორც ქართველების ბრალეულობის რუსეთისთვის გადაბრალება.* აფხაზეთის ომის შემდეგ დევნილთა მცირე რაოდენობა რუსეთში წავიდა. ერთ-ერთი რესპონდენტი ზუგდიდიდან ყვება, რომ რუსეთში ყოფნისას, ომის დასრულებიდან მცირე დროის შემდეგ შეხვდა აფხაზ მეზობლებს, რომლებთანაც დღემდე აქვს ურთიერთობა. *„გაუგონარი ისტორიები მომიყვეს ყველა მხრიდან, დღეს ომზე აღარ ვლაპარაკობთ, ჩვენთვის ომი წითელი ხაზია, თუ ომზე უნდა ილაპარაკო მაშინ უნდა ვიკამათოთ.“*(რესპონდენტი #13, ქალი, 58 წლის, ზუგდიდი).

თითოეულ რესპონდენტს მშვიდობის, კონფლიქტის მოგვარების, შერიგების ინდივიდუალური განმარტებები აქვს. მათთვის მშვიდობა დაკავშირებულია „უსაფრთხოებასთან“, „სტაბილურობასთან“, „სიკეთესთან“.

ერთ-ერთი რესპონდენტი ასევე იხსენებს, რომ მის აფხაზ ნათესავს სოციალურ ქსელში ქართული სიმღერა ჰქონდა გაზიარებული საკუთარ ფეისბუქ გვერდზე: *„მე მივწერე, რომ შენმა ქმარმა არ ნახოს-თქო, მისი ქმარი კაი „მწარე აფხაზია“, ხოდა ასე მომწერა, ნახოსო, იცის ჩემი დამოკიდებულება ქართველების მიმართო, მერე მე მივწერე, შენ ისე ამბობ, მანდ თუ უკვე ეგეთი სიტუაციაა ავდგები და ახლავე ჩამოვალ-თქო და მითხრა, ადექი და ჩამოდი, მერე ვინ გიშლისო“*(რესპონდენტი #25, ქალი, 43 წლის, წყალტუბო).

წყალტუბოს დევნილთა ახალ დასახლებაში მცხოვრებმა კვლევის ერთ-ერთმა რესპონდენტმა, ინტერვიუს მიმდინარეობისას აფხაზეთში მცხოვრები მისი ოჯახის წევრის გადაღებული ვიდეო გვანახა. ვიდეოში ჩანს რესპონდენტის სახლი გაგრაში და იქ მცხოვრები აფხაზი, რომელიც სახლისთვის ვიდეოს გადაღების ნებას აძლევს ქართველს. აფხაზი ვიდეოში ამბობს, რომ ეს სახლი მის ბებიას ეკუთვნის და სულ მალე რემონტს დაიწყებს.

დევნილების ისტორიები ცხადყოფს, რომ ქართველი მხარიდან კონფლიქტის მოგვარების გზებზე საუბარი რუსეთის დასუსტებას უკავშირდება, მეორე მხრივ, კი აფხაზები ამ ფაქტს შიშით უყურებენ. ერთი რესპონდენტი თბილისიდან აღნიშნავს, რომ მისთვის მისაღებია პირდაპირი დიალოგის ფორმატი აფხაზ ხალხთან, თუმცა მიუღებელია რომ სახელმწიფო აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ესაუბრებოდეს.

„შეიძლება რუსეთში ხელისუფლება შეიცვალოს, შეიძლება დასუსტდეს უკრაინაში და მოკავშირეებმა მხარი არ დაუჭირონ. რუსეთი ჩვენზე ძლიერი სულ იქნება, მაგრამ იქნებ უკრაინაში მოვლენებმა ის დაასუსტოს. ეს მომენტი უნდა გამოვიყენოთ და ველაპარაკოთ აფხაზებს, რომ როგორც ამას რუსები ეუბნებიან, ჩვენ კაციჭამიები არ ვართ.“ თბილისი, #16, ქალი, 31 წლის;

ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ ომთან დაკავშირებით საერთო ენის გამონახვა აფხაზ და ქართველ მხარეს შორის საკმაოდ რთულია. რაც ასევე აქტუალურს ხდის მსჯელობას სამშვიდობო პოლიტიკის სისუსტეებზე, რომელსაც წლების განმავლობაში სისტემურად უნდა ეწარმოებინა *სიმართლისა*, თუ *სამართლიანობის ძიების* შესახებ ორმხრივი დისკუსიები. დღეს დევნილები აფხაზებთან პირდაპირ დიალოგში მარტო არიან დარჩენილები, მათ ერთი მხრივ, აქვთ განცდა რომ ვერ ახდენენ სამშვიდობო პოლიტიკაზე გავლენას და ამ პროცესებისადმი ნდობა დაკარგული აქვთ, მეორე მხრივ კი განაგრძნობენ ინდივიდუალური ურთიერთობების გამყარებას აფხაზებთან.

„თუ ვიღაც გათითოკაცებული სოხუმელი ახერხებს იქაურ აფხაზთან დაკავშირებას, მოდი რა, მოძებნე ასეთი ხალხი და ამ ხალხით შეეცადე აფხაზებთან საუბარს. მე ვფიქრობ, რომ მაინც ზედა ეშელონებიდან არ ჩანს სურვილი.“ (რესპონდენტი #25, ქალი, 43 წლის, წყალტუბო);

„ვიღაც შეიძლება დააჯერეს აფხაზეთში პროპაგანდის მეშვეობით, ამას თუ მივიტანთ ამ ინფორმაციას, რომ არ გვინდა მათი განადგურება, პირიქით გვინდა თანაარსებობა, ჩვენი პოზიციაც უნდა გაითვალისწინოთ, ჩვენ გვაქვს უფლება მანდ ცხოვრების, ისევე როგორც მათაც აქვთ. ასეთი ინფორმაციის მიტანა შეიძლება, თორემ მე არ მჯერა ამ სამშვიდობო პროცესების. ეს რაღაც კონფლიქტის მოგვარება. კონფლიქტი შეიძლება დასრულდეს და მოგვარდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ძალა რომელიც ამ კონფლიქტს ინარჩუნებს, რა მნიშვნელობა აქვს ვისი ხელით, სანამ ეს ძალა იქნება ძლიერი, მანამ ეს კონფლიქტი არ მოგვარდება.“ წყალტუბო, #3, კაცი, 48 წლის

მიუხედავად ამ სირთულეებისა, რესპონდენტების შეფასებით, აფხაზებსა და ქართველებს შორის სოციალურ ქსელში ურთიერთობები დღითიდღე უფრო აქტიურდება. შენარჩუნებული ადამიანური ურთიერთობები კი კონფლიქტის ტრანსფორმაციის მნიშვნელოვანი რესურსია, რომელის პოლიტიკურ დღის წესრიგში გათვალისწინების საჭიროებასაც თავად დევნილებიც ხედავენ. მათთვის, ეს რესურსი ლიმიტირებულია, ვინაიდან მომავალ თეობებს გაუჭირდებათ ამ ტიპის ადამიანური კავშირების გამოძებნა თანატოლ აფხაზებთან.

„თუ ჩემმა თაობამ და ჩემზე უფროსმა თაობამ არ იტვირთა მედიაციის როლი, დამიჯერეთ პოლიტიკოსები ამას ვერ გააკეთებენ, თუ იქ არ ხარ ნაცხოვრები, არ იცი იმათი წესი, სად უნდა მოეფერო და სად უნდა ეჩხუბო, უხეშად რომ ვთქვათ, ვერ დაელაპარაკები. ჩვენ ბევრი გვიჩხუბია მაგრამ მაინც მივდიოდით სადღაც ბოლომდე, რაღაც კარგი ისტორია ყველას გვქონდა სოხუმთან დაკავშირებით, მერე მაგაზე დავიწყებდით სიცილს და მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკოსები ვერაფერს შეძლებენ. არც შერიგების მინისტრი ვერ შეძლებს, არაფერს აკეთებენ, ბევრი საკთხია გასავლელი. კაბინეტებში ჯდომით ეს არ გაკეთდება, თუ არ გამოვიდნენ და ხალხს არ დაელაპარაკნენ, ჩვენ გვინდა დიალოგი , ალბათ არ აძლევენ საშუალებას ჩვენს მინისტრს, რომ მეტი რამე გააკეთონ. მართლა მიფიქრია ამაზე. აბა რატო არ გვეკითხება არავინ არაფერს? (წყალტუბო. #25, ქალი, 43 წლის;)

დევნილთა ჩართულობა სამშვიდობო პოლიტიკაში და მომავლის პერსპექტივები

რადიკალური ოპტიმიზმი vs რადიკალური პესიმიზმი

ბოლო 30 წლის განმავლობაში ომმა და სტრუქტურულმა ძალადობამ, შიდა თუ საგარეო პოლიტიკურმა მოვლენებმა, დევნილთა კოლექტიური მეხსიერება, მათი ტრავმები თუ ბრაზი მნიშვნელოვნად გარდაქმნა. ომის დასრულების პერიოდიდან 2008 წლამდე, აფხაზეთში დაბრუნების შესაძლებლობა და პოლიტიკური რეალობა მათთვის იმედისმომცემი იყო, 2008 წლის შემდეგ ეს იმედი და შესაბამისად, პოლიტიკურ აგენტად თემის აღქმაც, ნელ-ნელა ქრება. ამას თან ერთვის, მძიმე სოციალური პრობლემები. დევნილებში არსებული რადიკალური ოპტიმიზმი, დროდადრო რადიკალურ პესიმიზმად გარდაიქმნება.

ისინი საკუთარ თავს აღიქვამენ, როგორც „უჩინარი მხარე“, „უკვე დავიწყებული“, „არა საინტერესო“. დევნილები თვლიან, რომ გლობალურ პოლიტიკურ კონფლიქტში, სადაც დიდი პოლიტიკური მოთამაშეები არიან, მათი ხმა ჩაკარგულია. დევნილთა ეს მოსაზრებები, კრიტიკულად მნიშვნელოვანია დასაკვირვებლად, ვინაიდან დროის სვლასთან ერთად არის საფრთხე, რომ მშვიდობის პოლიტიკისადმი მათი ნდობა, ინტერესი და ინიციატივები განელდეს და დავიწყებას მიეცეს.

მშვიდობის, როგორც კონფლიქტის მოგვარების გზა რესპონდენტების აღქმებში საინტერესოდ შემოდის მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში და ისეთ კულტურულ და ტრადიციულ დეტალებში, როგორიც არის ლხინისა, თუ ჭირის სუფრა და აფხაზი დევნილების სადღეგრძელოები, რომლებიც 30 წლის განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების პარალელურად იცვლებოდა. თუ ომის დასრულების პერიოდში სადღეგრძელოები ჟღერდა, როგორც “წელს თუ არა, მომავალ წელს დავბრუნებულიყავით”[აფხაზეთში], ახლა უკვე დაბრუნების პერსპექტივები გაურკვეველი დროით “გადაიდო” და აფხაზი დევნილები უკვე “მშვიდობიანად დაბრუნების” სადღეგრძელოს სვამენ და ამატებენ, რომ “უკვალოდ არ უნდა ჩაიაროს აფხაზეთში დაღუპული ქართველების სისხლმა”.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის ძირითადი კურსი გამოკითხული რესპონდენტებისთვის ცნობილია, ისინი ფიქრობენ რომ სახელმწიფო პოლიტიკაში, მათი, როგორც იძულებით გადაადგილებული პირების მოსაზრებები არ არის ასახული. გამოკითხული რესპოდენტები პასუხად კითხვაზე, აქვთ თუ არა საქართველოს ამჟამინდელ სამშვიდობო პოლიტიკაზე ინფორმაცია ამბობენ, რომ ინფორმაციას ძირითადად მედია საშუალებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით იღებენ. 2 მათგანს კი აქვს პირდაპირი დიალოგის ფორმატში მონაწილეობა მიღებული და ისიც საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე საზღვარგარეთ.

„ჩვენ ვართ იმდენად იზოლირებულები, რომ არაფერი ვიცით სად რა ხდება. ჩვენ დევნილები, ვისაც რაღაცის გაკეთება შეგვიძლია, რომ ფაქტიურად, ვერც ვერაფერი გამოსდით ამათ [სახელმწიფო ინსტიტუტები] და ვერ გამოუვათ. ადამიანს, რომელსაც ელემენტარული მოგონებები არ აქვს, ისტორიები არ აქვს იმ ქალაქზე, რაზე გინდა ელაპარაკო. როგორც მე ვერ გამოვდგები თბილისის ისტორიკოსად, ისე, თბილისელი ვერ ისაუბრებს სოხუმზე. ჩემს აფხაზ მეზობელს მე ვიცნობ.“ ზუგდიდი, #13, ქალი, 58 წლის

მაშინ როდესაც პირდაპირი დიალოგის შესახებ საკუთარ ჩართულობაზე საუბრობენ დევნილები, მათ ნარატივებში მხარდაჭერასთან ერთად უფრო მეტი სკეპტიციზმი ჩანს. გამოკითხული მონაწილე დევნილების უმეტესობისთვის სახელმწიფოს მიერ ბოლო 30 წლის განმავლობაში შემუშავებული სამშვიდობო მოლაპარაკების ფორმატი და ძალისხმევა არასაკმარისია.

სკეპტიციზმს იწვევს ისიც, რომ (i) დევნილები არ არიან ჩართული აქტიურად მოლაპარაკებებში; (ii) როგორც აფხაზი, ისე ქართველი უფროს თაობის კავშირები/ურთიერთობა შეჩერებულია, ვინაიდან მათი აზრით, ამ თაობებს შორის გაცილებით უფრო მარტივად მოხდება საერთო ენის გამონახვა, ვიდრე ომის შემდგომ დაბადებულ აფხაზებთან; (iii) მათი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები ართულებს სამშვიდობო

პროცესებში მონაწილეობას. პირველ რიგში, იმიტომ რომ დევნილთა საჭიროებები ჯერაც არ არის დაკმაყოფილებული და წყალტუბოს მაგალითზე, სანატორიუმებში ხალხი ჯერ კიდევ ცხოვრობს, მეორე მხრივ, კი სამშვიდობო პროცესისგან დევნილთა სოციალური დაბალი ფენის ჯგუფები ჩამოშორებულები არიან. კონფლიქტთან მათი ემოციური კავშირი და ინფორმაცია ომის შესახებ, სახელმწიფოსთვის სამშვიდობო პოლიტიკის მთავარ მდგენელად უნდა იქცეს. თუმცა, ხშირად სწორედ ეს ემოციურობა ქმნის ბარიერს.

„ამათთვის ჩვენ ვართ ის ხალხი, რომელიც სულ მუდამ რაღაცას ითხოვს, მე მაგალითად აქ ასე მიცნობენ, ახლა სასამართლოშიც მაქვს საბუთები. მერე აღარ გიყურებენ უკვე ისე, რომ სად რაში ჩაგრთონ. წაიყვანენ იმას, ვინც კმაყოფილია. რას შეგეკითხებიან. მე კი მაქვს პრობლემები და სამართლიანადაც ვბრაზობ, მაგრამ მინდა რომ შემეკითხონ, მეც ხო ვარ დევნილი“ (წყალტუბო, #23, ქალი, 49 წლის).

„მე ვარ წყარო, მე ვნახე იქ რა მოხდა და ვიცი დანარჩენი დევნილების მეზობლების ,ნათესავების აზრებიც , მე თუ არა, რავიცი აბა, სხვა ვინ უნდა ჩართო ამ პროცესში?“ (რესპონდენტი #15, ქალი, 69 წლის, ზუგდიდი).

რესპონდენტები დადებითად აფასებენ, დღეს აფხაზებისთვის საქართველოში არსებულ ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო პერსპექტივებს, თუმცა სანაცვლოდ აფხაზების მხრიდან რადიკალური პოზიციების შესუსტებას და ეფექტიანი პირდაპირი დიალოგის შესაძლებლობის გაჩენას მოითხოვენ. ისინი მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალთა ჩართულობის მნიშვნელობაზეც საუბრობენ და ზოგადად, ამ იდეას, როგორც სახელმწიფოს მხრიდან ახალი ინიციატივებისა და მიდგომების საჭიროების კონტექსტში ასახელებს. ქალი რესპონდენტები ხაზსს უსვმენ ქალ აფხაზებსა და ქალი ქართველებს შორის არსებულ საერთო შეხების წერტილებს, რაც უკავშირდება, დაღუპულ შვილებს, ქმრებს, ოჯახის წევრებს და შემდგომ, განვლივ რთულ ცხოვრებას დევნილობასა და მუდმივ საფრთხის განცდაში.

როგორც, კითხვარის ამ ნაწილზე ინტერვიუებში, ასევე საქართველოს მშვიდობის პოლიტიკის ასპექტების შესახებ რესპონდენტთა ინფორმაციის დონეზე დაკვირვებით ცალსახაა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ოფიციალური მოლაპარაკებების საკითხების, განსახილველი თემების, შედეგების, საერთაშორისო დისკუსიების, სამოქალაქო დიალოგის ფორმატის დღის წესრიგის, ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

კითხვაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვს, რომ ქართულ-აფხაზური პოლიტიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობები იყოს მშვიდობიანი კონფლიქტის მოგვარებამდე, რესპონდენტები პასუხობენ, რომ აფხაზმა და ქართულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს მათ შორის დიალოგს და ურთიერთობას, ასევე ზოგიერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ქართული მხარე ამისთვის მზად არის და აფხაზებს არ აქვთ პოლიტიკური ნება. ერთ-ერთი რესპონდენტი თბილისიდან მიიჩნევს, რომ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის გააქტიურება, იგივე მოსაზრება აქვთ დარგში მომუშავე ექსპერტებსაც, მათი თქმით, საქართველომ ოკუპაციის პირობებში სამშვიდობო პოლიტიკის ტრაექტორია უფრო დინამიური უნდა გახადოს და მეტი იმპულსი გაუშვას აფხაზეთისკენ.

სიღრმისეული ინტერვიუების ბოლოს, შეჯამების სახით, რესპონდენტებს კიდევ ერთხელ ვთხოვეთ, დასავლეთის, რუსეთის და შიდასახელმწიფოებრივი ძალების როლების იდენტიფიცირება მოეხდინათ კონფლიქტის მოგვარების პროცესში. რესპონდენტების მოსაზრებები რუსეთის როლისგან განსხვავებით, დასავლეთთან მიმართებაში ორად იყოფა. ნაწილი ფიქრობს, რომ დასავლეთი და კერძოდ, ევროკავშირი და ნატო, შესაძლოა გახდეს ის ინსტრუმენტები, რომლებიც საქართველოში არსებულ შიდა კონფლიქტებს დაარეგულირებენ. რესპონდენტების ნაწილი მთავრობის წარმომადგენლების მოსაზრებებს მხარს უჭერს და ამბობს, რომ ქვეყანამ უნდა შეინარჩოს მშვიდობა და „არ უნდა ჩაებას ომში“, „არ უნდა გაღიზიანდეს რუსეთი“, „დასავლეთი კიდევ ერთ ომს გამოიწვევს საქართველოში“-ამბობენ რესპონდენტები (#3, #19, #21,29). გამოკითხული რესპონდენტებისთვის კონფლიქტის მოგვარების გზა, პირველ რიგში, რუსეთის დასუსტებით იწყება, შემდეგი რიგითობით კი საუბრობენ პირდაპირი დიალოგის აუცილებლობაზე.

პირდაპირი დიალოგი

კვლევის მნიშვნელოვანი მიგნება უკავშირდება რესპონდენტების აღქმებს კონფლიქტის გადაჭრის საკითხებთან დაკავშირებით. მათთვის პირდაპირი დიალოგის შესაძლებლობები, ყოველდღიური კავშირები აფხაზ ნათესავებთან კონფლიქტის გადაჭრისკენ მიმავალ გზებს ხსნის. აფხაზეთში დაბრუნება დევნილებისთვის მცირე მიღწეულ წარმატებებზე დგას, რაც შეიძლება იყოს სხვადასხვა ბენეფიტები ქართველებისთვის და აფხაზებისთვის. მაგალითად, გადაადგილების თავისუფლება ორივე მხარისთვის.

„ვიცი გადაადგილების შესახებ, ორგანიზაცია გვაქვს ქალ დევნილებს და ბევრჯერ გვილაპარაკია ამ ბოლოს გააქტიურდა ეს თემა. აქ მნიშვნელოვანია ის პირობები ჩვენ რას წავუყენებთ. ჩვენგან მათ ბევრი შესაძლებლობა აქვთ, მაგრამ რა ტიპის გადაადგილება უნდათ, ქართულ პასპორტებს დათანხმდებიან თუ არა, და იმ შემთხვევაში თუ არ დათანხმდებიან, სანაცვლოდ იქნებ ჩვენ უფრო მეტს გვთავაზობენ, ეგ უკვე ამ დიალოგის საქმე უნდა იყოს და ბევრი უნდა ვიშრომოთ ორივე მხარემ.“ (რესპოდენტი #6, ქალი, 54 წლის, თბილისი)

შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ქსელების მეშვეობით პირდაპირი დიალოგის მცდელობა დევნილებსა და აფხაზებს შორის უკვე დაწყებულია. ის რესპონდენტები, რომლებთაც აქტიური კომუნიკაცია აქვთ ახლობელ აფხაზებთან პირდაპირი დიალოგის შესაძლებლობას იმედიანად უყურებენ.

ამასთანავე, ისინი წარსულში არსებული თანაცხოვრების გამოცდილებას, საერთო ისტორიებს, ტრადიციებს, მოგონებებს, მომავალში - აფხაზებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების გარდაქმნის შესაძლებლობად აღიქვამენ.

„მე მახსოვს რომ ყველაზე მეტად ქართველები და აფხაზები გააერთიანა სოხუმელი მარადონას სიკვდილმა. სოხუმში ცხოვრობდა და მთელ სოფელს უყვარდა. მთელი ჩემი ბავშვობა იყო მარადონა, მივცემდით 20 კაპიკს და ცეკვავდა. რომ გავიგეთ რომ მარადონა გაიგუდაო, ვფიცავ ადამიანობას, გაგვაერთიანა იმ ტკივილმა, ის იყო ჩვენი ბავშვობის მოგონება. ერთი 10 წლის წინ. აქედან ჩვენები ფულს ვაგროვებდით და აფხაზებს ვთხოვეთ, რომ ჩვენს სახელზე ქვა დაედგათ.“ (რესპ. #25, ქალი, 40 წლის, წყალტუბო).

აფხაზებთან მშვიდობიანი თანაცხოვრება ყველა გამოკითხული რესპონდენტისთვის “შესაძლებელია”. თუმცა, ისინი დროის სვლასთან ერთად, თაობების ცვლას და ამ გამოცდილების, თანაცხოვრების ისტორიების დაკარგვის საფრთხეს ხედავენ. რადიკალური პესიმიზმი კვლავ იჩენს თავს მომავალზე საუბარშიც.

რესპონდენტების შეფასებებით, აფხაზეთის, როგორც იდეალური მულტიკულტურული საცხოვრებელი გარემოსა და ჰარმონიული ადგილის შესახებ წარმოდგენა, შესაძლოა შეიცვალოს თაობათა ცვლის შედეგად. მსჯელობები დროის სვლასთან და ახალ თაობებთან დაკავშირებით, მათთვის „შიშს“ და უიმედობას იწვევს. რაც კიდევ ერთხელ აძლევთ იმის თქმის საშუალებას, რომ ისინი , ვისაც „ახსოვს“ და „გამოუცდია“ აფხაზებთან ცხოვრება, მაქსიმალურად უნდა იყვნენ ჩართული სამშვიდობო პოლიტიკაში და აფხაზებთან ურთიერთობაც სწორედ მათ უნდა შეძლონ.

„მე ვარ ჯერ კიდევ იმ თაობის წარმომადგენელი, რომელსაც პატარაობაში, მაგრამ მაინც ახსოვს, როგორი იყო აფხაზებთან ცხოვრება, ერთ-ერთ ქვეყანაში ვიღებდი მონაწილეობას დიალოგის ფორმატში, სადაც აფხაზებიც იყვნენ და მანდ შემეშინდა, მივხვდი, რამხელა განსხვავება იყო ჩემ ტოლ და ჩემზე ბევრად პატარა აფხაზებს შორის. ახალ თაობას ვერც კი დაელაპარაკები, როცა ჩემ ტოლ აფხაზ გოგოსთან ერთად ... მალე გამოვნახეთ საერთო.“ (რესპოდენტი #25, ქალი, 40 წლის, წყალტუბო).

აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ქვეყნის მართვის შესახებ რესპონდენტების მოსაზრებები ბუნდოვანი და კონკრეტული არ არის. მათი პერსპექტივები ძირითადად შემოიფარგლება ყოველდღიური თანაცხოვრების პრაქტიკების შესახებ, რაზეც გარკვეული წარმოდგენები აქვთ: მაგალითად, დარწმუნებულები არიან, რომ აფხაზეთში დაბრუნების შემთხვევაში ძალიან მალე აღდგება ურთიერთობები; მეორე მხრივ, რესპონდენტთა ნაწილი უფრო სკეპტიკურად არის განწყობილი აფხაზეთში დაბრუნების პირველი პერიოდის შესახებ და მიიჩნევს, რომ საჭირო იქნება უსაფრთხოების გარანტიები; ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ბიძაშვილთან ერთად კაფეს გახსნას გეგმავს; 40 წლის კაცი რესპონდენტი წყალტობად ამბობს, რომ მისი ოჯახი უკვე აქ (წყალტუბო) არის, მაგრამ აუცილებლად იპოვნის საკუთარ სახლს და ეზოს და მოაწესრიგებს, რათა ზაფხულობით კვლავ ჩავიდეს დასასვენებლად აფხაზეთში.

შეჯამება

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების მიზანი იყო შეგვესწავლა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ხედვები და პერსპექტივები მშვიდობასთან და კონფლიქტის მოგვარებასთან მიმართებაში. გამოკითხული დევნილებისთვის ომის საწყისი პერიოდი ჰარმონიულ მოგონებებად აღიქმება, მიუხედავად იმისა, რომ ომამდე დიდი ხნით ადრე უკვე იგრძნობოდა გაუცხოება და მცირე ინტერპერსონალური დაპირისპირებები აფხაზებსა და ქართველებს შორის, კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტი ამბობს, რომ მოვლენათა განვითარების ასეთი სცენარი მათთვის მოულოდნელი იყო.

ომის პოლიტიკური პასუხისმგებლობა დევნილებში, პირველ რიგში, რუსეთის პოლიტიკურ მიზნებს უკავშირდება, რომელმაც ფესვები მარტივად გაიდგა ანტი ქართულად განწყობილ აფხაზ მოსახლეობაში. ამ მოვლენების პარალელურად, დევნილებისთვის სუსტი და არათანმიმდევრული გადაწყვეტილებებით გამოირჩეოდა საქართველოში არსებული პოლიტიკური კლასი, რომელმაც ომის მასშტაბური დანაკარგები თავიდან აცილება ვერ შეძლო.

დევნილებთან საუბარს თან სდევს მათი მხრიდან აფხაზების ამბივალენტური აღქმა. მათში ომის პერიოდში და შემდეგაც, აფხაზების მიმართ აგრესია და უსამართლობის განცდა, დღეს უკვე დიალოგისა და საერთო საკითხების გამონახვის სურვილად ტრანსფორმირდა. პირდაპირი დიალოგი, სამშვიდობო პროცესებში ჩართვა, ფორმალური, თუ არაფორმალური შეხვედრები გამოკითხული დევნილების მხრიდან მხარდაჭერილია, თუმცა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნაკლები ნდობა და გეოპოლიტიკური მოვლენები მათში გარკვეულ სკეპტიციზმს იწვევს.

უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებულმა ომმა დევნილებს კვლავ შეახსენა ომის სისასტიკე. გეოპოლიტიკური კონტექსტის სწრაფი ცვალებადობა, მათი ერთი ნაწილისთვის ეს მოვლენები შიშთან და მეორე ნაწილითვის იმედდთან ასოცირდება. შიშის მიზეზი რუსეთის მხრიდან საქართველოში ომის დაწყებაა, ხოლო მეორე ნაწილისთვის, იმედი ჩნდება რუსეთის გავლენების დასუსტების პირობებში, შესაძლებლობების ფანჯარა აფხაზებთან საერთო ენის გამონახვისთვის უნდა იქნას გამოყენებული. დასავლეთი და ევროპა გამოკითხული რესპონდენტებისთვის ქვეყნის სწორი გეზია.

დევნილთა მძიმე ეკონომიკური ყოფა, რომელიც ბოლო 30 წლის განმავლობაში მათთვის დიდად არ შეცვლილა, სტრუქტურულ ძალადობად ყალიბდება. ამ კონტექსტში ჩვენი რესპონდენტი დევნილები მატერიალურთან ერთად, სოციალურ, ჯანმრთელობის დაცვის, საგანმანათლებლო, დასაქმებისა, თუ სხვა ტიპის პროგრამების შექმნას მოიაზრებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზეა, მათი როგორც საზოგადოების სტიგმატიზებული და მარგინალიზებული ნაწილის, როგორც სამშვიდობო პოლიტიკის მნიშვნელოვანი აქტორის დაკარგვა.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა ინტერვიუებზე დაყრდნობით, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის კომუნიკაციის პროცესში წარსულში ომთან და კონფლიქტთან დაკავშირებული რიგი საკითხები ტაბუდადებულია, მათ აქტიური კომუნიკაციის სურვილი

დღემდე აქვთ. ეს ურთიერთობები გამოიხატება ყოველდღიურ კომუნიკაციაში, განსაკუთრებული, სიხარულისა, თუ ჭირის გაზიარებაში, ემოციურ მხარდაჭერასა, თუ თანადგომაში. ამდენად, მნიშვნელოვანია პირდაპირი დიალოგისა და არაფორმალური კომუნიკაციების ეს მაგალითები ინტეგრირდეს სამშვიდობო პოლიტიკაში და გაზიარებული იყოს ინსტიტუციურ დონეზე.

გამოსავლის ძიების, პატიებისა, თუ მშვიდობის შესახებ კვლევის ამ ნაწილში რესპონდენტებისგან განსხვავებული მოსაზრებები მივიღეთ. თუმცა საერთო მარკერები უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ისინი უსამართლო კონფლიქტის მსხვერპლი არიან და ამ ყოველივემ მათი ცხოვრება შეცვალა „დაუსრულებელი სიღარიბისკენ“ (რესპონდენტი, #7, ქალი, 52 წლის, წყალტუბო). განცდა იმისა, რომ ისინი უსამართლობის მსხვერპლი არიან მძაფრდება იმ ფაქტითაც, რომ მათთვის მომავალი „ბუნდოვანია“. (i) აქვთ ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, წუხან საკუთარი შვილების მომავალსა და მათ განათლებაზე; (ii) არ აქვთ სტაბილური უსაფრთხოების განცდა, რაც განპირობებულია გეოპოლიტიკური მოვლენებით; (iii) ამ პირობებში უნდობლობა უჩნდებათ სამშვიდობო პოლიტიკის მიმართ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან, თუ აფხაზეთის მთავრობასთან დიალოგის შემთხვევაში, ამ „ერთადერთ შანსს“, კვლავ პირველად საჭიროებებზე საუბარს დაუთმობენ.

გამოყენებული ლიტერატურა

აბრამაშვილი ი., ქოიავა რ., საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, კავკასიური სახლი, 2018;

ნათია ჭანკვეტაძე, კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში: იდეიდან ქმედებამდე, ლევან მიქელაძის ფონდი, 2020.

ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. (2022). საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (Vols. ISBN 978-9941-9796-4-4). თბილისი: გამომცემლობა "სამშობლო". კავკასიური სახლი „საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი“, 2018.

სამოქალაქო საზოგადოების ხედვა და რეკომენდაციები წარსულის გააზრებისა და ნდობის აღდგენის შესაძლებლობების შესახებ. 2022.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ეთო კოპალიანი, „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკთხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი-მანდატის და საქმიანობის კრიტიკული ანალიზი, 2023

Cohen Jonathan (ed.), A question of sovereignty: The Georgia-Abkhazia peace process, Accord, Vol. 7, Conciliation Resources, 1999;

UnitedNationsPeacekeeping,UnitedNationsObserverMissioninGeorgia,იხ.https://peacekeeping.un.org/mission/past/unomig/background.html

Gegeshidze A., The isolation of Abkhazia: A failed policy or an opportunity? Accord, Vol. 19, Conciliation Resources, 2008;

StewartSusan,The Role of the United Nations in the Georgian-Abkhazian Conflict, Journalon ethnopolitics and minority issues in Europe (2003);

Coppieters, B. (2002). In Defence of the Homeland: Intellectuals and the Georgian-Abkhazian Conflict. In B. Coppieters, & M. Huysseune (Eds.), Secession, History and the Social Sciences (pp. 89-116). VUBPress.

Jabri, V., & Richmond, O. P. (2021). Critical Theory and the Politics of Peace. In The Oxford Handbook of Peacebuilding, Statebuilding, and Peace Formation (pp. 91-106). Oxford University Press

Galtung, Johan. “Violence, Peace, and Peace Research.” Journal of Peace Research 6, no. 3 (1969): 167–191 and Galtung, Johan. “Cultural Violence.” Journal of Peace Research 27, no. 3 (1990): 291–305

Lederach, J.P. (1997). Building peace : sustainable reconciliation in divided societies. Washington, D.C: United States Institute of Peace Press. pp. 23-25

Kriesberg, L. (2011). The State of the Art in Conflict Transformation. In: Austin, B., Fischer, M., and Giessmann H.J. eds. Advancing Conflict Transformation: The Berghof Handbook II. Opladen & Farmington Hills. Barbara Budrich Publisher. pp. 50-62

Sandrine Lefranc. A Critique of ’Bottom-up’ Peacebuilding: Do Peaceful Individuals Make Peaceful Societies?. 2011. ffhalshs-00646986, p.12-18;

The Critical Theory Paradigm. (2020). In H. Carey (Ed.), Peacebuilding Paradigms: The Impact of Theoretical Diversity on Implementing Sustainable Peace (pp. 188-238). Cambridge: Cambridge University Press.

Peshkopia, R. (2020). A Bottom-Up View at Peacebuilding: Pragmatism, Public Opinion, and the Individual as Unit of Analysis in Postconflict Societies. In H. Carey (Ed.), Peacebuilding Paradigms: The Impact of Theoretical Diversity on Implementing Sustainable Peace (pp. 304-323). Cambridge: Cambridge University Press. doi:10.1017/9781108652162.019 p.12-34;

Bachler, G. (2004). Conflict Transformation through State Reform. In: Austin, A., Fischer, M. and Ropers, N. eds. Transforming Ethnopolitical Conflict: The Berghof Handbook. Berlin, Germany: VS Verlag für Sozialwissenschaften, p. 260-282;

Reimann, U.K. (2018). Closing a gap in conflict transformation : Understanding collective and transgenerational trauma.

Coincilation Resources, "Majority of Georgians see prospects for change to improve relations with Abkhaz", 2020; ნანახია: 29 ოქტომბერი / https://www.c-r.org/news-and-insight/majority-georgians-see-prospects-change-improve-relations-abkhaz

Peter Kabachnik , Joanna Regulska & Beth Mitchneck (2012) Displacing Blame: Georgian Internally Displaced Person Perspectives of the Georgia–Abkhazia Conflict, Ethnopolitics: Formerly Global Review of Ethnopolitics, 11:2, 123-140, DOI: 10.1080/17449057.2012.675210

Cobb, Sara (2013). "Speaking of Violence. The Politics and Poetics of Narrative in Conflict Resolution";

K. Rupesinghe, 'Conflict Transformation', in K. Rupesinghe (ed.), Conflict Transformation (London: St Martin's Press, 1995), p. 90-99.

Ruggeri, Theodora-Ismene Gizelis, and Han Dorussen, "Managing Mistrust an Analysis of Cooperation with UN Peacekeeping in Africa," Journal of Conflict Resolution 57, no. 3 (2013): 380–410.

P. Collier, 'Economic Causes of Civil Conflict and Their Implications for Policy', in C.A. Crocker, F.O. Hampson and P. Aall (eds), Leashing the Dogs of War. Conflict Management in a Divided World (Washington DC: United States Institute of Peace Press, 2007), pp. 190–210.

J. Galtung, Peace by Peaceful Means. Peace and Conflict, Development and Civilization (Oslo/London: International Peace Research Institute/Sage, 1996), p. 9-15;

B. Boutros-Ghali, 'An Agenda for Peace: Preventive Diplomacy, Peace Making and Peace Keeping', UN Doc. A/47/277-S/24111 (New York, 17 June 1992), paragraph 20-21.

Bigdon, Ch., Korf, B. (2004). The Role of Development Aid in Conflict Transformation: Facilitating Empowerement Processes and Community Building. In: Austin, A., Fischer, M. and Ropers, N. eds. Transforming Ethnopolitical Conflict: The Berghof Handbook. Berlin, Germany: VS Verlag für Sozialwissenschaften, p. 349-369.

Christoph Zu¨rcher, Carrie Manning, Kristie Evenson, Rachel Hayman, Sarah Riese, and Nora Roehner, Costly Democracy: Peacebuilding and Democratization after War (Stanford, CA: Stanford University Press, 2013); Andrea

დანართი#1

	თბილისი	წყალტუბო	ზუგდიდი
რაოდენობა (სულ 27)	8	15	4
რესპოდენტები #, სქესი, ასაკი	• #2/ქალი, 43 წლის; • #4/ქალი, 55 წლის • ;#6/ქალი, 54 წლის; • #8/კაცი, 61 წლის; • #10/კაცი, 54 წლის; • #12;/ ქალი, 49 წლის; • #14/კაცი, 29 წლის; ; • #16/ქალი, 31 წლის;	• #1/ კაცი, 68 წლის; • #3/ კაცი 48 წლის; • #5 კაცი, 49 წლის; • #7/ქალი, 52 წლის; • #9/ქალი, 64 წლის; • #11/ ქალი, 32 წლის; • #21/ქალი, 28 წლის; • #20/ ქალი, 72 წლის; • #22/ კაცი, 83 წლის ; • #23/ ქალი, 42 წლის; • #24/ ქალი 67 წლის; • #25/ქალი 43 წლის; • #26/ქალი 35 წლის; • #27/ქალი, 63 წლის; • #18/ქალი, 55 წლის;	• #13/ქალი 58 წლის; • #15/ ქალი 69 წლის; ; • #17/კაცი 70 წლის; • #19/ქალი 59 წლის;